



ქვემოთ მოხუცი

X. უკველკვირული გაზეთი. X.

№ 34 კვირა, 18 აგვისტო 1902 წლისა. № 34

ნათალია მხარაის ასული გაბუნია-ცაგარლისა, ივანე და გიორგი ანტონისძენი ცაგარელინი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და მეორენი ძმისა

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარლისს დასაფლავება მოხთება დღეს, 18 აგვისტოს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, - რომ 12 ამა აგვისტოს გარდაიცვალა დრამატურგი და დრამატიულ საზოგადოების საპატიო წევრი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი დასაფლავება მოხთება დღეს, 18 აგვისტოს.

† ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი.

კიდევ ერთი მსხვერპლი შეიწირა სიკვდილმა ქართველ ლიტერატორთა პატარა გუნდიდან! კიდევ ერთი მოძმე გამოგვესალმა უდროვით;

გულწრფელათსავალალო და სამწუხაროა მისი დაკარგვა! მისი სიკვდილით ქართულ სცენა ჩამოეცალა ერთი იმ პირთანი, რომელიც თვისი ქაბუკოან სწირავდა მას შექმნებისავარათ თვის ძალღონეს. მისი სიკვდილით მოგვაკლდა ერთი თვალსაზრისი სცენის მოღვაწე, დრამატული მწერალი, რომელთა გუნდიც ასე მცირეა ჩვენში.

ვისაც კი ჩვენი სცენის ისტორია ოდნავ გადაუთვალავია, ვისაც კი ყურადღება მიუქცევია ჩვენი დრამატიული მწერლობისათვის ის უეჭველათ შენიშნავდა, რომ მრავალ დრამა-კომედია-ვოდევილთა შორის, რომელთაგან მომეტებული ან უწნოთ გადმოღეჭილია, ან გადმოკეთებულ გადმოძახინჯებული, ავქსენტის კომედიები მოსჩანან მათ შორის როგორც მზის სხივი აღმართული თვის მწვერვალზე გარემო ღრუელთა შორის. და ეს იმიტომ, რომ ისინი ამოღებულნი არიან ალბის გულის წიაღიდან, ისენი დადგენენ ფიქრსა და აზრს ტკილსა და მალამოს ქართველი ხალხისას.


დახ ნამდვილმა შემოქმედმა ნიჭმა იმ ეკლიან გზაზედაც ამელზედაც დგა ქართველი მწერალი, გაარღვია წინ

აღმართული დაბრკოლებანი, ჩაიხედა სამშობლოს გულში და იქიდან ამოზიდა მისი ზრახვანი, მისი საკუთარი თვისებანი ეს იყო სარკე რომელზედაც ჩვენმა ცხოვრებამ უტყუვრათ აღბეჭდა თვისი რამდენიმე სურათი ახლო წარსულიდან, გაიხსენეთ მისი კომედია: „რაც გინახავს ვეღარ ნახავ, კნიაზჯანი!“ რომელიც აგერ ოც და სამი წელიწადია ამწვენებს ჩვენი სცენის რეპერტუარს, რომელიც ამოღებულია ისტორიის იმ მომენტიდან, როდესაც ჯერ არ მომთელეობდათ მონებს უღელნადები კისერი, როდესაც ქართველმა ხალხმა შეიხსნა აბაური და მიმოიხედა თვის გარემო, როდესაც ქართველ ხალხში პირველათ, ჩამოაშუქა რა ახალმა ცხოვრების სხივმა, და მიმოიხედა რა თვის გარემო დაიძახა: „რაც გინახავს ვეღარ ნახავ კნიაზჯანო!“ დაახ, ეს მისი გულსნადები იყო, ეს იყო მისი გულის წიაღიდან!


თუნდ მხოლოდ ერთათ ერთი ეს კომედია, რომ დაეწერა ჩვენ ასიკოს, მაშინაც კი პატივსაცემი და ღირს აღსანიშნავი იქნებოდა მისი ნიჭი ჩვენი სცენის ლიტერატურის ისტორიაში, როგორც დამახასიათებელი ნაწარმოები იმ უღელ ტახლისა, რომლის შემდეგაც საქართველო შესდგა, სულ სხვა გზაზე, და რომლის ბოლოც

მიუხედავთ მრავალ ცვლილებათა, როგორც შოლტი დღესაც სცემს, დღესაც ატყვია ქართველ ერის ცხოვრებას. მე განგებ მინდა შევაჩერო მკითხველის თვალი ამ კომედიის დასაწყისზე, რომელიც დაიბეჭდა 1857 წ. გარდაიცვალა 1902 წ. 12 აგვისტოსა.

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი.



დაიბადა 1857 წ. გარდაიცვალა 1902 წ. 12 აგვისტოსა.



ღიაზე, მით უმეტეს, რომ დანარჩენი მისი ნაღვაწი „მათი-კო“, „ხანუმა“, „ციმბირელი“ და სხვანი მხოლოდ და მხოლოდ იმავე დაბალ ხალხის გულიდან არიან ამოცხვნილი და ამოღებული. აი რაშია ჩვენი დაკარგული მწერლის უპირველესი ღირსება, აი რაშია მისი შემოქმედებითი ნიჭის ძალა.

მწარე ირონია მათდამი ვისაც ეპყრა სადავე ჩვენი ხალხისა და ღრმა სიყვარული ტანჯულთადმი! ღიახ, ასიკოცაგარელმა მიუხედავთ იმისა, რომ რიცხვით ცოტა რამ მოგვცა, აზრით მაინც მდიდარი და უტყუარათ დამახსიათებელი ხალხის ცხოვრებისა.

აქ ჩვენ დაწვრილებით არ შეუდგებით მის ნაღვაწთა ღირსების ჩამოთვლას, ამისთვის უფრო დამშვიდებული კალამი და გულია საჭირო და შემდეგისათვის უფრო ვრცლათ გამოურკვევთ ჩვენს მკითხველებს ა. ა. ცაგარლის მნიშვნელობას ჩვენი სცენის ისტორიაში; მხოლოდ ვიტყვი კი რომ ასიკოს სიკვდილით ქართველმა ლიტერატორთა მცირე გუნდმა დაკარგა მასში მარტო თანამეკალმე კი არა, არამედ გულწრფელი ამხანაგი, გულშემატკივარი და საყვარელი მეგობარიც.

ჰა ძველათ ჩვენი სიყვარული, ძმაო ასიკო!

ი—ული.

ასიკო ცაგარელს.

კვლავ გლოვის ზარმა სამშობლოს
დღეს თავზე გადაუარა,
ქართველის გული აკენესდა,
წინ გაეშალა სუდარა!
სამკალს მოაკლდა მომკელი,
შუა გადატყდა კალამი,
კვლავ გაიბანა კრემლებით,
ჩვენი სამშობლოს—ალამი!

ი. ევლოშვილი.

შინაურნი მიმოხილვა

რა ხთება შინაობაში? რა არი სანუგეშო, რაზედაც შესაძლო იყოს საამოვნებით შეეჩერდეთ, ან რა არი არა სანუგეშო, სავალალო და სადარდელი, რასაც სიამოვნებით გვერდს აუქცევდით და თვალს მოეარიდებდით, რომ ჩვენ მოვალეობას, როგორც მექრონიკისას, არ შეადგენდეს აღნუსხვა გაზეთის ფურცლებზე ამა თუ იმ მოვლენისა, მიუხედავთ იმისა, თუ როგორია იგი.

რალა თქმა უნდა ჯერ აქავე უნდა მიმოვიხედოთ, აქ, თფილისში, როგორც ერთ უდიდეს ჩვენ დედა ქალაქში, საცა საუკეთესო ჩვენი ძალა უნდა იყოს თავ-მოყრილი; ქალაქში რომელიც იმავე როლს უნდა თამაშობდეს ჩვენი ერის ცხოვრებაში, როგორსაც გული თამაშობს ადამიანის ორგანიზმში.

დღეს დღეობით ქალაქი ძალიან მიყუჩებულია; ძარღვი მეტათ დუნეთ უცქმს. შეიძლება ეს სეზონის მიზეზიც იყოს, მაგრამ ის კია, რომ თვით იმ გვარი ღროის მოახლოებამ, როგორც არი ქალაქის ხმოსნების არჩევნები, სიცოცხლე ვერ შთაბერა და მოქმედების ხალისი ვერ გაუღვიძა აქაურობას. ყველა ჩუმათ არი. ხანდისხან ესა თუ ის გაზეთი უმასალობის გამო თუ გაახსენებს საზოგადოებას—მოვიდა კენჭობის დროო, თორემ მოქალაქენი საკმაო გულ-გრილობას იჩენენ ამ კითხვის შესახებ. საუბედუროთ გაზეთებიც, როცა კი ხმას ამოიღებენ ამ კითხვის შესახებ, უეჭველათ თითოეული მათგანი, იმის მიხედვითა თუ რომელ ეროვნებას ეკუთნის, მთელ საბჭოს მარტო თავისიანებისთვის მოინდომებს, რომელიმე სხვა ერთან შეერთებას და ცოტათ თუ ბევრათ ლიბერალურ—პრაკტიკული საბჭოს შედგენას ძალიან აღმაკურათ უყურებს და

თუ გაკვრით ორიოდ სიტყვას იტყვის ამ მხრივ, ისიც პირსაფერათ და სხვების შეტომაში შესაყვანათ, ასე რომ, ახლ არჩევნებიდან მაგრე რიგათ არაფერ კარგს არ უნდა მოველოდეთ; ქალაქის ახალი მამები იმდენათ შეიტკბებენ ნაწეს-ქარობ და მშრომელ უმრავლესობისათვის, რამდენადაც უნდა ლეები შერებოდენ.

ზაფხულობით საზოგადოთ ჩვენ პროვინციებს უფრო ეტყობა სიცოცხლე და მოქმედება, ვინემ დედა ქალაქს. მართლაც და რომელ კუთხიდან გინდათ არ მოლიოდეს ჩვენ ჟურნალ-გაზეთობას ცნობები: აქ წარმოდგენა გაიმართა, ამან და ამ საზოგადოებამ ეს და ეს დაადგინა, აქ და აქ კრება მოხთა საკითხველოს გახსნის შესახებ და სხვ... განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ წარმოდგენები; სად არ გაინდა წარმოდგენა არ იმართებოდეს, ბევრი დაბა-სოფელი საკუთარ სათე-ატრო შენობასაც კი დგამს—აი თუ გინდ ზესტაფონი, აქაურ თეატრში 500 კაცი უნდა მოთავსდესო. აშკარა რომ ჩვენ ხალხში დიდი მოთხოვნილებაა თეატრის. სასცენო ხელოვნებას შეუძლია საგრძნობი როლი ითამაშოს ხალხის გამოფხიზლებაში, მისი თვით-ცნობიერების განმტკიცებაში. დღეს დღეობით ეს გზა თითქმის ერთათ-ერთი თავისუფალი გზაა, საიდაამაც უხიფათოთ შესაძლოა ხალხში ცოტაოდენი სინათლის შეტანა. აი აქ ეშლება ჩვენ დრამატიულ საზოგადოებას ფართო ასპარეზი სამოქმედოთ. თუ სხვა ვერაფერ დხმარებას გაუწევს ის ჩვენ პროვინციებს ხელმოკლეობისა გამო, ის მაინც უნდა მოახერხოს, რომ იკისროს გამომცემლობითი საქმე და მიაწოდოს სცენის მოყვარეთ სალი და სასარგებლო პიესები.

სამწუხაროა მხოლოდ რომ იქ, საცა ხალხი გამოფხიზლებას ფიქრობს და უკანასკნელ გროშს სკოლას, სამკითხველოს და თეატრს ანდომებს ზოგიერთი ვაჭბატონები ყოველივე კეთილ საქმეს ძირს უთხრიან, ხალხის ნაოფლართი ჯიბეს ისქელებენ. ასეთ ვაჭბატონს ეკუთვნის კირილე წილო-სანიც, ლანჩუთის სამკითხველოს გამგეთ ყოფილი. ამ ვაჭბატონმა, არა თუ გაფლანგა 441 მანეთი, არამედ ურცხვათ მთელ სარევიზიო კომისიას ოთხჯერ მოახთენინა კრება—იქნება როგორმე თავი დაეაძვინო და ეს ვალი ავიშოროვო. შოლოს იქამდი მისულა, რომ 44 მ. ყალბი საბუთიც კი წარმოუდგენია. ყველაზე უფრო სავალალო ის არი რომ ეს ვაჭბატონი იქაური მასწავლებელი ყოფილა. ამფერუმ, მასწავლებლო, მარილო ამა სოფლისა!

სწავადა-სწვა ამბები.

დღეს ასაფლავენ ჩვენ უდროვოთ გარდაცვალებულ დრამატურგ, აქვსენტი ანტონისძე ცაგარელს. მიცვალეზულს დილის რვა საათზე ბინიდან (ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა) წასვენებენ ქვაშეთის ეკლესიაში და იქიდან ნაწირვეს ნიკოლოზის სასაფლაოზე.

განსვენებული აქვსენტი ცაგარლის დასაფლავების საქმე თავს იღვა ჩვენი დრამატიული საზოგადოების გამგეობამ. ამ გამგეობას თანახმათ ბ. პეტრე ყიფიანის წინადადებისა შეუძენია ნიკოლოზის (კუკიის) სასაფლაოზე თექვსმეტი ადგილი ჩვენი სცენის და ლიტერატურის მუშაკთა საფლავებისათვის. და მადლობით მიიღებს შემწირველთაგან ყოველივე წვლილს ამ დანიშნულებისათვის.

„ჩერნომ. ვესტნიკ“-ში ვკითხულობთ „ფინანსთა მინისტრმა ს. ი. ვიტტემ დაავალა ამიერ-კავკასიის გადასახადთა ინსპექტორებს, რაც შეიძლება ჩქარა, თავიანთი აზრი მიაწოდონ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებზედ, რომელიც ამიერ-კავკასიაში არსებულ საპოლიციო დარაჯს შეეხება:

1) რით და როგორ გამოიხატა საპოლიციო დარაჯის მოქმედება ბორც-მოქმედებათა ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა ალკვეთისა და დამნაშავეთა დევნის საქმეში?

2) შეეფერება თუ არა ზნეობრივი და სამსახურებრივი თვისებანი დარაჯის მოხელეთა იმ მოვალეობას, რომელიც მათ დააკისრეს?

3) საპოლიციო დარაჯის შემოღების შემდეგ ამიერ-კავკასიაში იკლო თუ იმატა დანაშაულობათა რიცხვმა?

4) რა მხრივ შეიძლება საპოლიციო დარაჯის მოქმედებ-ნაყოფიერათ ჩაითვალოს იმ პიზნის განხორციელებისათვის, რომლისთვისაც იგია დაწესებული?

5) საჭიროა თუ არა დარჩეს საპოლიციო დარაჯის ეხ-ლანდელი ორგანიზაცია და შტატები, თუ უნდა შეიცვალოს?

ამ ზუთ უმთავრეს კითხვის გარდა მინისტრის წინადადე-ბაში არის სხვა, ნაკლებათმნიშვნელოვანი კითხვები“.

ქუთ. გვწ. იაფ-ფასიან წარმოდგენებს, რომელიც იმართება ბ. ვ. ბალანჩივაძის მეთაურობით, იმდენი ხალხი ესწრება რომ თე-ატრში არამც თუ დასაჯდომი ფეხზე გასაჩერებელ ადგილსაც კი ვერ იშოვო. რაც თეატრშია, ერთი იმდენი კიდევ გარეთ რჩე-ბა უადგილობის გამო, ფასები ყველასათვის ხელ მისაწვდო-მია: 10 კაპიკიდან 50 კაპიკამდე. მოთამაშეთა შორის საყუ-რადღებოა თითონ ბ. ბალანჩივაძე და ბ. დათოშვილი, რომელიც მალე მომავალში მეთაურების ვასო აბაშიძეთ შეიქნე-ბა. შემოსავალი წარმოდგენებზე კარგია, ბ. ბალანჩივაძე უფ-რო ყურადღებას რომ მიაქცევდეს თავის მოთამაშეებს უკეთესი იქნება, თორემ ისეთების სცენაზე გამოყვანა, რომლებსაც ოარი სიტყვის ამოღება არ შეუძლიათ, თითონ მას შეარცხ-ვიან.

თფილისის ქალაქის გამგეობამ შეადგინა ქალაქის მომა-ვალ წლის შემოსავლის პროექტი. ქალაქს შემო-სავალი ექნება 1,942,866 მანეთი, მდგომარე წლის შემოსავალზე 541,380 მანეთით მეტი. ამ მეტ შემოსა-ვალს ქალაქი მოელის ხორცის ღუქნებისაგან. მოგვყავს აქვე ზოგიერთი წყარო შემოსავლისა: დასაფასებელი გადასახადი— 499,462 მ. (წრევანდელზე 17,773 მან. მეტი), სავაჭრო-სამ-რეწველო გადასახადები—125,396 მ. (589 მ. ნაკლები), სხვა და-სხვა ბაჟი—23,167 მ, (335 მ. ნაკლები), ცხენებისა და ეტლების გადასახადი—39,500 მ. (1900 მ. მეტი), ქალაქის მიწების შემოსავალი და საიჯარო გადასახადი—113,260 მ. (1500 მ. მეტი), წყლის მილისა და ქალაქის სხვა დაწესებუ-ლებათა შემოსავალი—994,284 მ. (545,000 მ. მეტი) და სხვ.

თფილისის გუბერნატორს ბევრმა მიმართა და თხოვა ნე-ბართვა იარაღის ტარებისა, მაგრამ გუბერნატორს ეს თხოვ-ნები არ შეუწყნარებია.

პოლიცმეისტერს შეუტყვია, რომ მეფხოვენი კარგათ არ ასრულებენ თურმე თავიანთ მოვალეობას, ამიტომ უბრძანებია ბოქაულებისათვის, გამოუტყვადონ მეფხოვეებს, რომ მათ ღამ-ღამობით საღამოს 6-დან დილის 6 საათამდე განუწყვეტლივ უნდა იმორიგეონ.

პოლიცმეისტერმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე პოლი-ციის მოხელეთა დაუდევრობას და უბრძანა მათ, საღამოობით ყოველთვის ქუჩებში იდგენ, თავიანთ ადგილებზე.

თფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის გამგეო-ბის გადაწყვეტილება არჩევნების დროს შესახებ. როგორც ვუწყით, ამ გადაწყვეტილებით, არჩევნები მოხდება პირველ

საარჩევნო ნაწილს 22 სექტ., მეორესი-26 სექტ. და მესამის —29 სექტემბერს.

ქ ა ლ ა

ამ დღეებში თფილისის გუბერნატორმა ბოქაულებისა და პირი ახლათ შე-მუშავებულ და უმადლესათ დამტკიცებულ იმ წესისა, რომ-ლითაც უნდა იხელმძღვანელონ კბილის ექიმებმა, როდესაც კბილის სამკურნალო კაბინეტს გამართავენ, ან სახლში კერ-ძოთ ავადმყოფებს მიიღებენ. ახალ წესის ძალით კბილის ექი-მებმა კაბინეტის დაარსებისა და სახლში ავადმყოფთა მიღების ნება-რთვა უნდა აიღონ ადგილობრივ გუბერნატორისაგან. ნე-ბართვის მიღებისა და სამკურნალო კაბინეტის მოწყობის შემ-დეგ უნდა დაათვალიეროს კაბინეტი სამკურნალო ინსპექტორ-მა. სამკურნალო დაექვემდებარება საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას. ერთს კაბინეტის პატრონს ნება არ ექნება იმავსა ან სხვა ქალაქში სხვა კაბინეტი გახსნას-

უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. როგორც თვით ამ სასწავლებლების ადმინისტრაციას უცნო-ბებია, წელს 10 თავისუფალი სტიპენდია კავკასიელთათვის.

ფოთის ქალაქის საბჭოს ახალ ხმოსანთა არჩევნები დანი-შნულია 8 სექტემბრისათვის.

ივლისის განმავლობაში ბარალეთის (ახალ ქალაქის მახ-რა) სასოფლო სამკურნალოთი უსარგებლნია 337 ავადმყოფს. აქედან 203 ავადმყოფი ყოფილა მამაკაცი, 61 დედაკაცი და 73 ბავშვი.

ხელოსანთა დეპუტატებს სამსახურის ვადა წარსულ წლის დამლევეს გაუთავდათ, მაგრამ ახალი არჩევანი დეპუტატებისა აქამდე არ მოუხდენიათ.

ხელოსანთა მოურავმა ბ-ნმა რაფაელოვმა მიმართა ქალა-ქის ხელოსნებს, დაასახელეთ, ვინ გინდათ ახალ დეპუტატებათ აირჩიოთ, რადგან ამ მოკლე ხანში გუბერნატორისაგან უნდა ნება გამოვითხოვო და მომავალ სექტემბერში დეპუტატთა არ-ჩევანი მოვახდინო.

თფილისის ხელოსანთა მოურავმა ბ-ნმა რაფაელოვმა ყვე-ლა ამქრის დაეთრები შეამოწმა. ღურგალთა ამქრის უსტამბაშს ინოზემცვეს უბრძანა, ამის იქით არავითარი ფული აღარ აკრი-ბო ამქარში, სანამ ამის განკარგულება არ მოგივიდესო. ბ-ნ რაფაელოვს აღმოუჩენია, რომ ამ ამქარში თურმე დიდათ უწე-სოთ და ზედ-მეტათ კრეფდენ ფულს.

ხელოსნებისათვის გამოუტყვადებია მოურავს: თითო ამქა-რმა ორ ორი მანეთი წარმოადგინეთ და ორ კაცს დავიქერ, რომ ამქრების საქმეები აწარმოვონ და მიწერ-მოწერის ქალა-ღები შეასრულონო. ეს ორი კაცი სახელოსნო გამგეობაში იქ-ნება განსაკუთრებით თქვენი საჭიროებისათვისო.

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსის ბ-ნ ივანოვისაგან უარი მიიღო ამას წინათ აღძრულს შუამდგომლობაზე, რომ ქუთაისზე გაეარა რკინის გზის მთავარ ლიანდაგს.

ამ ბოლოს დროს ქუთაისში ძალიან გავრცელდა ყალბი თეთრი ფული. უფრო საღამოობით და ღამ-ღამე ასაღებენ ქუ-ჩა მოედანზე, სადაც ხელით მოვაჭრე სოფლის ხალხი ტრია-ლებს. ყალბი ფულის გამსაღებელი მიდის სოფლებთან, ვსთქ-ვათ შაურის ხილი უნდა იყიდოს; ამისათვის გლეხს აძლევს

ყაღბ თეთრ აბაზიანს, მანეთიანს, ხან და ხან ხუთ მანეთიან ოქროსაც შეაპარებს, თუ მანეთისას ან მეტისას ყიდულობს. ამნაირათ ზევრი მოატყუილეს.

ზოგიერთებმა თვალყურის დევნება დაუწყეს ყაღბი ფულის გამსაღებელებს და აკი დააქირეს: 11 აგვისტოს ერთმა ვაჭბატონმა ყაღბი მანეთი დაახურდავებინა ორ შაურიან ნესეში, მერე მეორე გლეხთან მივიდა და ამისაგანაც ნესეი იყიდა და იმასაც ყაღბი მანეთი მიცა. ვაჭბატონი შებოქეს და პოლიციელი დაიბარეს. აქვე აღმოჩნდნენ გლეხები, რომელთაც ათამდე ყაღბი მანეთიანები მიეღოთ თურმე ამ „ვაჭარისაგან“. ყაღბი ფულების გამსაღებელი აღმოჩნდა ღვინით მოვაჭრე ფ. ქ—ლის ნოქარი. პოლიცია საქმის გამოძიებას შეუდგა. (ც. ფ.)

კორესპონდენცია.

მუთაისი. (ქალაქის საბჭო). როგორც უფველთვის, არც 7 მარტობისთვის საბჭოს სხდომას დაესწრო წევრთა სავსე რიცხვი, თუმცა სსენებული სხდომა წინა კრების (3 მარ.) გაგრძელება იყო და ამასთანავე ეხებოდა უფელსათვის საინტერესო და ქალაქის თვითმართველობისთვის ზირველ საჭირ-ბოროტო კითხვას კონტრაგენტ მისილფვის მიერ ხელშეკრულების ზოგიერთ წესდების დარღვევას და ამ დარღვევის გამო ხმოსან ფან-ოულდის განცხადებას, რომელიც მან ქალაქის მოურავს მიართვა. სხდომა გაიხსნა ქალაქის თავის ბ. ლ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, რომელმაც მცირე რიცხვან საბჭოს კრებას წაუკითხა ჯერ ხმოსან ფან-ოულდის განცხადება და შემდეგ მოხსენება ქალაქის ტენიკოსის ბ. ჯორჯაძისა, რომელიც ფან-ოულდის აზრის შესამოწმებლათ გაგზავნა გამგეობამ. ბ. ფან-ოულდი, რომელსაც შემ-ხვევით მოუნდა ენახა წლისაყვანის უმთავრესი აუზი (რომლის 1/5 უკვე გაკეთებულია) არქივლის გარდა ამობს თავის განცხადებაში, რომ კონტრაგენტ მისილფვამ დარღვია ხელ-შეკრულების წესდებამ. მაგ. იქ, სადაც ხელ-შეკრულების ძალით მისილფვს ერთ ნაწილ ცემენტის რიცხვზე-ერი ნაწილი სიღა უნდა ეხმარა, კონტრაგენტი ხუთ ნაწილს ხმარობს და ცემენტის მაგიერ კირს ურევს; უმთავრესი აუზის კედლების სისქე, რომელშიც რამდენიმე ასი ათასი ფუთი წყალი უნდა მოთავსდეს, არ არის იმ სისქის, რაც ზირობაში წერია; აუზის კედლები ამოყვანილია ნახევრათ სიბ კლდეზე, ნახევარი ქვიშარზე, რაც აუზს ადრე თუ გვიან გასეთქას უქადის და სსვ. წყლისაყვანი მხოლოდ დროებით ეკუთვნის კონტრაგენტს, შემდეგ კი ქალაქის ხელში გადადის და თუ ქალაქმა დღეს უურადდება არ მიაქცია ბ. მისილფვის მოქმედებას, ამობს განცხადების ავტორი—მაშინ ჩვენი საქმე ცუდია: დაგვრება უფელად უვარგისი შენობები, რომლებიც რასაკვირველია სანამ კანტრაქტის ვადა გავიდოდეს ასე თუ ისე კონტრაგენტს სამსახურს გაუწევს, შემდეგ კი არავისთვის გამოსადეგი აღარ იქნება; ამიტომ საჭიროა ახლავე დანიშნონ მუდმივი კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს მისილფვის მუშაობას. უბრალო სხელებს აშენების დროს თუ ნიშნავს ქალაქი განსაკუთრებით კომისიას წყლისაყვანის საქმე ხომ უფრო საყურადღებოა და მისი უზატრინათ დატრეება უფელად შეუძლებელია. ფან-ოულდის აზრს ეთანხმება ბ. ჯორჯაძე-ქალაქის ტენიკოსი.


ასეთ სისტემატიურ ხრიკებს, ხელშეკრულების მუხლების დარღვევას და მით მუშაობის გაჭინურებას, რომლითაც დაწყო თავის მოქმედება მისილფვმა, ჩვენ გვეკონს უფელა განსაკუთრებულ უურადლებას მიაქცევდა, მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ უფელა და თუ არ სამი-არი, დანარჩენები უურადლებასაც არ მიაქცევდნენ თურმე ბ. ფან-ოულდის განცხადებას. წარმოდგინეთ უმეტესი ნაწილი ჩვენი „მამების“ ბ. მისილფვის წყალსაყვანი საზოგადოების „პროშეკები“ უფელად. ერთი მხრით მოზრდილი 0/0-ები, სკუთარი ჯიბე, მეორე მხრით ქალაქის ინტერესები. როგორ ემსახურებს ბ. ხმოსანი

ერთსა და იმავე დროს ორ დმერთს თავის ჯიბესაც და ქალაქსაც. ალბათ ასე იქნებოდა ჩვენი „მამები“. ქალაქის საერთო ინტერესები ხომ იგივე ჯიბეა მოქალაქეთა კერძო ინტერესებისა, ჩვენი ჯიბე კი ხომ იგივე განუყოფელია ქალაქის კასისა და რასაკვირველია მანინც და მანინც ქალაქის კასში შევიდეს ქალაქის შემოსავალი. სწორეთ ასე იქნებოდა, თორემ არც ისე გულცივათ მოკვიდებოდნ კონტრაგენტის ხრიკებს, მარტო 15 კაცი არ მოვიდოდა კრებაზე. როდესაც ხმოსანმა ბ. ჯორჯაძემ განაცხადა: ვისაც „მისილფვის საზოგადოების“ პატი გაცემთ ახლავე გაუიღეთ, თორემ თავს შეინცხვენთ, ზოგიერთებმა სული განაბეს, თითქმის აქ არაფერიც, მხოლოდ რამდენიმე ზირობა დაუჭირა მხარი ამ სამართლიან განცხადებას. მათ შორის ხმოსანმა ნ. ჭიჭინაძემ სთქვა: დდიან ხელშეკრულების დადებისა—როგორც მესმის და გასუთებშიაც იწერება—ბ. მისილფვი უფელ დონეს ხმარობს ზირობის მუხლები დარღვიოს, მუშაობა გააჭინურებს, უვარგისი შენობები აკვას (ბ. ფან-ოულდის განცხადება)., რასაკვირველია ასეთ მოქალაქეებს კონტრაგენტისას ერთი მხრით ხელს უწყობს გარემოებაც, რომ სსენებულ ამხანაგობის სთავეში დგას ჩვენი ქალაქის ხმოსანი ბ. ზდანოვიჩი; თავმჯდომარის აზრია ამორჩეულ იქმნას მუდმივი აღმშენებელი კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს არა მარტო მისილფვის მუშაობას, არამედ ქალაქის სსვა შენობების აკვასაც, ჩემის აზრით კი საჭიროა სპეციალური კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს მხოლოდ კონტრაგენტ მისილფვის მუშაობას. გავიდა ეს უკანასკნელი აზრი და ამორჩეულ იქმნენ: კომისიის წევრებათ კ. ბ. ლორთქიფანიძე, ე. ფან-ოულდი და გ. ჭიჭინაძე. დამთავრებულ კომისიის წევრებათ-რომელთა არჩევაც წინა კრებაზე ვერ მოასწრეს—არჩეულ იქმნენ: გ. ზეტრიანიძე, ნ. ხანციშვილი, ციკორიძე და მათ კანდიდატათ მ. ჩინჩაძეც

Parole.

დ. ხონი. ოთხ მარტობისთვის ხონში გამართულმა წარმოდგენამ ნათლათ დაგვანახვა, თუ რამდენათ შეუძნიათ ხონელებს თეატრის და მში გამართულ წარმოდგენების დიდი მნიშვნელობა. ხონელები ძალიან იშვიათათ აკლდებიან წარმოდგენას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წარმოდგენები ხელ მისაწდომ ფასებიანია. 4 მარტობისთვის, მართალია წარმოდგენა დაკლებული ფასებით იყო გამართული, მაგრამ წარმოდგენის გამგენი თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხონის საზოგადოება არ დაესწრებოდა, რადგანაც წარმოდგენის დაწყებამდის კაცის ზირულათ წვიმდა, ჩვენდა საბედნიერათ მათი მხოლოდინი არ გამართლდა და სასაფხულო თეატრი, რომელშიაც წვიმიან ამინდში სშიშიც არის შესვლა, რადგანაც შენობაში თავისუფლათ შეიჭრება ხალხი ნიავ-ფვარი, მსურებლებით მთლათ ავიწრო-დაესწრენ თითქმის უფელა ხონის ნოქრები, რომლებიც იშვიათათ აკლდებიან წარმოდგენებს, აქ იყვნენ იმ გვარი ზირინც, რომელიც მხოლოდ სმა ქეიფში ატარებენ წუთი სოფელს, ჩანს ცოტადნავ მათაც გაუგიათ თეატრის სსრებლობა. წარმოდგენა გამართულ იქმნა ბ-ნ ზოლიკარზე მდივანის რეჟისორობით.—წარმოდგინეს ავ. ცაგარლის სამ მოქ. კომ. »რაც გინახამს, ვეღარ ნახამ“. —ბ-ნმა ზოლიკარზე მდივანმა ითამაშა „გიოეუს“ როლი და კარგათ დაგვისურათა ქალაქელი კანტო,—„ავტოქას“ როლს ასრულებდა ბ-ნი ლადიმარ წერეთელი და კარგათ შეასრულა, დანარჩენი მოთამაშენიც სსურველ შობაქტილობას ახდენდნენ მსურებლებზე. იქედია ჩვენი სცენის მოფვარეული შემდეგშიაც არ მოაკლებენ ხონის საზოგადოებას თავის თანაგრძობას.

ხონის სამკითხველო ამ მოკლე დროში ცოტათი მოაშორეს ბაზარს, ესლა მკითხველი მოკლებულია გვერდით მუფთ შედუქების ატეხილ ბასს, მაგრამ, რა გამოვიდა ესლა ხონის ზოგიერთი არისტოკრატები გამუდმებით სამკითხველოს წინა ბაღკონზედ დგანან, და სცოდნავ მდაბიო მკითხველს მოუხერხებლათ მიანხია ზირ-ღაბირ კატრას მათი ჯგუფი და სამკითხველოში შევიდეს,—გარდა



ამის სიცილ-სარსარი უკან ბაღე ანუ მოსულ, ვითომდა მკითხველებსაცან ძალიან უშლის ნამდვილ მკითხველს. ქალები სამკითხველთს ძალიან იშვიათთ ნახულობენ, და თუ მოვიდენ განკეთებს გადაბრუნ-გადმობრუნებენ, დაბურჯგინან წიგნებს, რომელიმე მკითხველი ემაწვილის არშეიკანაში დახელფრებულ თვალებს გადაკრავენ და გამოფლენ კარში, ერთი ორი თუ იქნება მთელ ხონის საზოგადოებაში გულისთ სამკითხველში მისიარულე ან რათ უნდათ კითხვა, რაც მათ ეინტერესებათ მას უკანეთთაც გებულობენ:—იმედია ახალი გამოკვ კარგათ მოკვადება სამკითხველთს საქმეს, და უფიქრივე წვრი-მალ ნაკლებებს მოაშორებს თავიდან, რომ სამკითხველში მეტი წიწიერება იუვენ ვინემ დღემდე ეფიფილა:

ილია ბახტაძე.

ზეიმო რაჭა. ეს თითქმის ნახევარი წელიწადია რაც ზემო რაჭაში მიწის ძვრა დაიწყო და ახმდის გრძელდება. განსაკუთრებით უფრო ძვირის დაბა ონის გარშემო ადგილები. ხალხი მეტის მეტი შეშინებულა. გამოწვეულიც იუვენ მეტნიერები ადგილების დასათვლიერებლათ და მიწის ძვრის მიზეზის შესატუობლათ, მაგრამ ჯერ მიზეზები განცხადებულათ არავინ იცის. მიწის ძვრისაგან ქვის შენობები ნახევრობით სულ დახეთქილია და მცხოვრებლებს, ვისაც შეძლება აქვს სხვა ქაღაჩებში გაუფიქრებიათ გადასახლება, სასამართლოებს და დანარჩენებს ოცის ვერსის მანძილზე გადასვლა, თუ მთავრებას ნება დართოთ და ან თუ ადგილი იშოვენ. ეს ფიქრები დროებით შეახერა მიწის ძვრის ორის კვირით შეწყვეტამ, მაგრამ სუბედურთ ნ მარობისთვის დიდის 8 საათზე ისეთი საშინელი მიწის ძვრა მოხდა, რომ სახლებმა და მიწამ სულ ზრიალი დაიწვეს. ხალხი უფირილით ქუჩაში გამოცვივდა დაბა ონში, და ზოგნი ტუისაკენ წვიფლ-კვიფლით გაქაჩენ. სოფლებში ხომ ხალხის შეშინებას და არეულობას საზღვარი არა ქონდა. მიწის ძვრა კარგა ხანს გგრძელდა. ხალხი სადამოდის არ დამშვიდებულა. განციფრებულნი ეველა ერთმანეთს შესწიოდენ საცარს მოვლენაზე და იმაზე თუ რა ბოლო მოელის ამ უბედურებას.

მაგრამ ამ უბედურებას არ დავკავრავ ბუნებას და ამას სხვანიც შემოუერთდენ. ამ საფრულში, ზემო რაჭაში ჯერ ძლიერი გვალვა დაიჭირა, ზურები მოასწრათა და გაფუჭა, სიმინდები კი ნახევრობით გაანზო, ეხლა გადუღებულ წვიმებს მიეფ ხელი. სწაფლს გლესებს ჯერ მკაზე უწინდათ გული ზურების „გაცრულების“ გამო და ეხლა კი ხელ-გულ დაკრეფილნი შეეურებენ ამინდს იქნებ კარგი დარი დაიკავს და დანგრეული გზები და წყლებისაგან მოტლკეილი ხილები გავაკეთოთ, რომ მომკალი ზურები აღარ დაგვიღზენ და დროით მოიწიოს, მაგრამ ჯერ ამათ. სულ წვიმს და წვიმს მარტის თვესავით. ამასთან საშინელი სიციფეებიც დაიწყო და კავკასიონის ქედები ერთთან ჩამოთოვა. გლესები ძლიერ შიშობენ, ვაი თუ ამ სიციფეებს რთვილიც მოუვენ და გვალვას გადარჩენილი სიმინდი იმან მოგვისნოსო. ამასთანავე უნდა ვთქვა ისიც, რომ ზემო რაჭაში, სახელდობრ სოფელს უწერაში, მანუელს წყლებზე დიდ ძალი ხალხი მოდიოდა ხოლმე, რაც აქ მცხოვრებლებს გვარისან შემოსავალს აძლევდა წელს უგზო-უხიდობის გამო მცხოვრებლები ამ შემოსავალსაც მოკლებულნი შეიქნენ. ზარალი ზარალზე ემატება, ეხლა იმედი გექონდა ჩვეულებრივ ვლადიკავკავიდან სიმინდი გადმოვაოქო და როგორც შევიტევეთ, გზების უპარვისობის გამო აღარც ის გადმოვა, ამან სიმინდის ფასი ასწია და ეხლა ჩვენში კოდი (უდრუს ორს ფუთს) სემინდი 3 მანეთათ გაიფიდა. ერთის სიტუფით დღეს ზემო რაჭის ხალხის წლებანდელი ზარალი და უბედურება აუწერელია, მხოლოთ ერთათ ერთს იმედს იძლევა და ამხნეებს სწაფლ მუშა ხალხს ის, რომ ვენახებს ძალიან კარგი ზირი უჭირავს ჯერ ჯერობით თუ აწი ჩვეულებრივთ სეტევეს არ მოგვისნოს.

გიგლა

მ თელავი. რვა მარამობისთვის თელავის კლუბის დარბაზში გამართული იყო კონცერტი ბ. მონადირიშვილის მიხედვით. სწაფლ-მოქმედო მიზნით, სახელდობრ: სულით ტყაბრებულნი სწაფლ-ნიაშიელი ს დასახმარებლათ...

უკეთუ ბ. მონადირიშვილს ოდესმე, რაც იგი სამუსიკო ასპირანზე გამოვიდა, მარცხი მოსვლია კონცერტების შესრულების შესახებ, წელს სრულიათ გამოისეიდა ეველა ნომრების საუკეთესოთ შესრულებით.

კონცერტი შედგებოდა 12 ნომრიდან—ოთხი ქართული, დანარჩენი რუსული. განკებ ამ სადამოსთვის სურამიდან მოწვეული იყო სკრინპაკზე დამკვრელი სათავად-ან. სკოლის მოწაფე—ბ. ორჯონიკიძე, რომელმაც ალტაცებაში მოიფუნა დამწრე საზოგადოება თავის საუცხოვო ხელფრული დაკვრით და რამდენჯერმე იქმნა გამოწვეული გასამერებლათ. საზოგადოება ბლომთ დაესწრა კონცერტს და იმედია შემოსავალი 200 მან-ს იყოს (ჯერ კი არ არის სრულიათ შეკრეფილი ბიფეთების ფული), ხარჯი არა ნაკლებ 70 მან. იქნება. მადლობის დირსნი არიან—გამვე ამ სადამოსი თექვე ი. ცისკაროვისა, თვით დამწეები საქმისა - ბ. მონადირიშვილი და ეველა ის ახალგაზდა ქალნი და კანნი, რომელნიც დაესმარენ მას მომდღრალ გუნდში მონაწილეობის მიღებით.

არ შეგვიძლიან არ უსაყვედურთ საზოგადოთ იმ ლოტბართ, რომელნიც მართავენ ხოლმე აქ კონცერტებს ის, რომ თელავის საზოგადოების მომეტებულ ნაწილს თუმცა ქართულობა შეადგენს, მაგრამ ქართული სიმღერები კი ეფიფელთვის ნაკლებია ხოლმე და თითქმის სხვათა შორის ნამდვილი ქართული კილოიანი სიმღერები ხომ არც ერთი... თუმცა თელაველები ამაზე არც კი ფიქრობენ!..

ამ თვის 10-ს კლუბისავე დარბაზში მასწავლებელმა მინილი ივ. ტურნიკოვმა გაუმართა ბავშვებს წარმოდგენა ქართულ-რუსულ ენაზე. ქართულათ ითამაშეს ერთ მოქმედობიანი ვოდევილი: „უკატო სასლს თაგვები დაპატრონებთან“, თარგმანი მასწავლ ქრ. ზარათიშვილისა. რუსულათ სიმ მოქმედობიანი კომედია: „Общими силами“

ძალიან ცოცხლათ ითამაშეს ეველა ბავშვებმა და განსაკუთრებით ტასო როსტომიშვილისამ და შვიდი წლის ზატარა ქალმა—ან. ხირსელაშვილისამ; ამათ ისე კარგათ და თავისუფლათ შესრულეს თავიანთი როლები, რომ დიდი, გამოცდილი მსახიობები გეგონებოდათ. მშვენივრათ წაიკითხეს დასასრულ ქართულ-რუსული ლექსები: ნანუკოვისამ, სვიმონიშვილმაც და როსტომიშვილისამ. დამსწრნი—დიდი, თუ ზატარა კმაყოფილნი დარჩენ. კარგს იზამდენ, რომ სხვებმაც მიბაძონ მასწავლ. ტურნიკის და ამგვარი სასიამოვნო და სასარგებლო სადამოები გაუმართონ ხოლმე ბაღლებს ნაცვლათ სარეკავო სადამოებისა. სარეკავო სადამო, რომელსაც უწოდებენ „Детский вечер“-ს არის ხოლმე კვირაში ორჯელ. ამგვარ სადამოების კარგს მხარეს მე ვერსად ვხედავ... ეს ზაწია ბეჭეები (მოყოფებული 5—ნ წლ.) ისე გატაცებულნი არიან ხოლმე ამ ცეკვა-თამაშით, რომ მოულოდნელათ მოელან ამ დღეებს და მსზე ფიქრობენ მთელ კვირას. გარდა ამისა ზატარა ქალები, რომლებიც ძალიან ცდილობენ მიბაძონ „დიდ ბარიშებს“ ეველა სადამოსთვის ახალ-ახალ კაბებს ამზადებინებენ მშობლებს. გარდა ამისა ამ სადამოებზე კაფაციციებით არჩევენ ზატარა „კვარლები“ მოსაწონ „დამებს“ და უკანასკნელნი ზირველებს. ბავშვების ცეკვაობა გასრანს ხოლმე 12 საათამდე, თუ მეტი არა.

ძველი მეგობარი.

ს ა ზ ლ ვ ა რ ვ ა რ ე თ .

ოცმალითი. უკანასკნელ ორთვეს, როგორც ატეობისებენ ერთს სააკენტოს, საშინელი სისხლის ღვრა და შემზარავი ამბები ხდება თურმე ოსმალეთში. ამ მოკლე დროს განმავლობაში მომხდარა ერთს მონასტირის საგუბერნიოში ას ერთი მკვლელობა. დაუ-



ხრწინათ გლეხები, სოფლის მასწავლებლები, შეკრდები და დედუკები. გაუუბატონებიათ ორმოცი ქალი. ოსმალელ და ალბანელ ყაზაქებს ბუკრისთვის ურები დაუჭრიათ და იმდენათაც კი აუგდათ სასაცილოთ თვისი მსხვერპლები, რა გაუგზავნიათ მოჭრილ ურებით ადგილობრივ ხოლიციაში.

ორმოცდა ათამდე გლეხი ტყვეთაა წაყვანილი. გამოუშვეს მხოლოდ რამდენიმე დიდის გამოსასყიდით. ათობით დაითვლება გადასახდელი და ახსრებული ბოღგარის სოფლები ოსმალელ ყაზაქების მიერ. ყაზაქების ბრბო თავისუფლათ დათარქობს, მათ არამც თუ სდევის ოსმალეთის ხოლიცია, არამედ კიდევ აქეხებს ამისთანა მხეცობისათვის.

უკვლავ ამან გამოიწვია ის, რომ თვით გლეხებმა მოისურვეს გადაუხადონ თავის მტანჯველებს; ბუკრი მათგანი გაიქცა მთებში, და აქედან უხდიან იმავე სიმკაცრით სამაგიეროს მტრებს— ოსმალეთის შთავრება ამ გლეხებს რეფლიუციონერებათ აცხადებს და თუ ხელში მოაგდეს საშინლათა სტანჯავენ მათ.

საზრანგეთი. ზოგიერთ ადგილებში ხოლიციას და ხაღხის შეტაკება მოუხდათ. ხაღხი მხარს უჭერდა იეზუიტებს. არ აძლევდა ნებას განედგინათ სასწავლებლებიდან იეზუიტთა მასწავლებლები. შთავრება მანც მტკიცეთ ადგა თავის გადაწყვეტილებას აღსრულებაში მოიყვანოს ბერთა კანგრეგაციების შესახებ კანონი.

გერმანია. ერთ სოციალისტთა ორგანო გამოსთქვამს თავის აზრს გერმანიის ფლტის შესახებ. გაზეთის აზრით გერმანიისთვის გამანადგურებელია გემების გამრავლება. ინგლისი და საფრანგეთი, ამბობს გაზეთი, მართალია, საჭიროებენ საზღვაო ესკადრში, თვისი კოლონიების დასაცავლათ, ხოლო გერმანიის კოლონიები თვისი გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობით სულაც არ საჭიროებენ ამ გვარ ძალაში... მასხადაშე გერმანიას სულ სხვა უძევს გულში, რადესაც ასე აძრელებს თვის საზღვაო ესკადრს. მისი განძრახვა იმეჭმედოს ინგლისის, რუსეთის და შეერთებულ შტატების წინააღმდეგ... ეს კარგათ ესმით ამ უკანასკნელთაც და ისეინც ემზადებიან დასახვედრათ. რა დამართება გერმანიას, კითხულობს ზემოხსენებული ორგანო, თუ ინგლისი, რუსეთი და შეერთებული შტატები შეერთდენ ერთათ გერმანიის სასაღამათო.

რუსეთის ცხოვრება.

რკინის გზათა გამგობებმა სოხოვეს გზათა სამინისტროს შემუშავებულ იქმნის ის წესი, რომლითაც რკინის გზის მოხელეებს ეფველ ხუთი წლის სამსახურის შემდეგ ჯამაგირი უნდა მიემართათ.

— რკინის გზაზე, როგორც მკითხველებმაც იცინან, ხშირათ ხდება მატარებლების შეტაკება, რაცა, გზათა სამინისტროს აზრით, შედეგია დეპეშის შედგომით გადაცემისა, ხოლო დეპეშის შედგომისი აინსება რკინის გზის ტელეგრაფისტთა მოუმზადებლობით და გაუნათლებლობით. სამინისტრომ, ყურადღება მიამჩნია რა ამ კარემოებას, განკარგულება მოახდინა, რომ ტელეგრაფისტებათ მიიღონ ხელმე ისეთნი, რომელთაც განათლების ცენზი აქვს. კანდიდატებს დახალი სასწავლებელი მანც უნდა ქონდეთ კათავებული. ამას კარდა, რათა ინტელიგენტებმაც მოისურფონ სატელეგრაფო სამსახური, სამინისტროს აზრით აქვს მოუმტოს ტელეგრაფისტთა ჯამაგირებს.

— ოდესში არსებობს ნოქართა ურთიერთ დაშმარებელი საზოგადოება. წესდებით ამ საზოგადოებას უფლება აქვს დაარსოს და შეინახოს თავის ხარჯით სასწავლებელი, საზოგადოებას განუზრახავს ისარკებლას მინიჭებულის უფლებით და ამიტომ სამოსწავლო ოფის წინაშე შვამდგომლობა აღუძრავს სასწავლებლის დაარსების ნებაართვის შესახებ. ნოქართა საზოგადოებას ამ სასწავლებლისთვის უკვე ქონია 20-ათასი მანეთი, ერთი კანცის მიერ შეწირული. აზრად აქვთ, განზრახულ სკოლაში ასწავლონ, სხვათა შორის, სავაჭრო არითმეტიკა და ეუნჯვალტერია. სასწავლებელში

მიიღებენ უმთავრესათ საზოგადოების წევრთა შვილებს.
— დ. ნ. ტოდსტოი სრულიათ განკურნებულა ავანთფოფოს ბისკან. მხტოვანი მწერალი წინანდლებრ მუშაობს მწიგნობრობაში.
თურმე.

ჩემს მირცხალს

დილა იყო. მზემ სხივები
სარკმელს დაჰკრა, მოაფინა
და შეაკრთო ნაღვლიანი,
დაღვრემილი ჩემი ბინა.
მანსოვს, ტურფავ, შემოფრინდი
და მახარე განთიადი,
რომ იცოდე იმ ოროს თვით შენ,
განთიადის სხივებს გვანდი.
აქიკიკიდი მერცხალივით,
მიამბე და წამჩურჩულე,
რომ პირველი გარიერთაჟის
მოციქული ინახული!
დილის ბინდ-ბუნდს ლაჟვარდ ცაზე
თურმე მედგრათ ის სწურავდა
და გაშლილი ფერად აღმით
ჩვენსკენ სწრაფათ მოსცურავდა.
გინაროდა, გიღვლავდა
მზის სხივივით წმიდა გული,
აი მაშინ, ტურფავ, მაშინ,
აფეთქე სიყვარული!
და მას აქეთ, როს მერცხალი
ნავარდ-ქიკიკის იწყებს დილით,
ვსტკებები, ტურფავ, და განთიადს
ვეგებები მეც ღიმილით.

ი. ევლოშვილი.

გზიან ღაა!

(ესკიზი „წერილის ხაგლეჯის“ გამო). *)
„.....გული მომიკვდა, სული შემეხუთა შენგან გამოგზავნილი წერილი რომ წავიკითხე, ჩემო ჯოჯოხეთო!
ვით ათასგვართ აბრჭყვიანებულ ცის კამარაზე მოსწყდებოდა ხოლმე ვარსკლავი და ცეცხლ-ფრქვევით ინთქება დაუსრულებელ ცის სივრცეში, ისე მოსწყდი შენც ჩემის გულიდან, ისეთივე ცეცხლის კვალი გაავლე ჩემს არსებაში, ეჭვმა და დაკარგულმა ბედნიერებამ შებოროტეს ჩემი „მე“, ჩემი სულის სიმშვიდე და მთლათ ჩემი თავი გადაისროლეს მოუსვენრობისა და დაჩაგრულობის სამეუფოში.
დღეს მე გულ-მოკლული, გაუბედურებული ვარ!
მინდოდა დამევიწყენ!... მინდოდა თავიდან მომეშორებინა შენი მაცდური სახე, შენი მოელოვარე აღზნებული თვალები, რომლებშიაც ერთხელ მთელი სამოთხე მეხატებოდა, რომლებიც ისე მთუთქავდენ და ნეტარებით მათრობდენ, მინდოდა... მაგრამ ან კი, როგორ გამოვთქვამ იმას, რასაც ვგრძნობდი შენგან შეურაცყოფილი... ოხ, შე უღმერთო, რათ მომკალ, რა გინდოდა ჩემგან!
დიახ, შეურაცყოფილათ კი არა, განადგურებულათ, მიწასთან გასწორებულათ ჩავთვალე ჩემი თავი, როდესაც შენი უკანასკნელი წერილი მივიღე... ასჯერ, ათასჯერ გადავიკითხე ის წერილი, დღე და ღამ სულ იმაზე ვფიქრობდი, დამევიწყდა ცა და ხმელეთი, ავით ის ანკარა რუ რომლის ყვავილებით მოქარვულ კიდებდაც შენ სიყვარული გამომიცხადე ცბიერების ნაკადულათ მეჩვენება და მისი საამო ბუტბუტი ფლიდი, უსინიდისო კაცის ვედრება-ფიცათა! მეტათ მოულოდნელი იყო ჩემთვის შენი წერილი!
თუ გახსოვს შენც იმ დროს შემოხვედი, როდესაც ცრემლით ვაღბობდი შენ წერილს და ზედ გულიდან გამოიწურეს სისხლს ვაწვევებდი, რომ იქნება პატარა მომელობა და ან გადაამერცხა ის სასტიკი სიტყვები...“

*) იხილე შ. არაგვისპირელი. წიგნი II.

შენს დანახვაზე კი... მზათ ვიყავ შემეთათხე სახლიდან გამეგდე, მზათ ვიყავ ყელში მოგვარდნადი და კატის-კნუტით დამეჩრევე. მაგრამ... (დიახ ყველაფერი ამ „მაგრამის“ ბრალია, ამ შეუბრალებელის მაგრამისა, რომელიც ზოგს ჯოჯოხეთში აგდებს და ზოგს კი ყოველ-გვარი უსინდისობისაგან გულ-გრილათ გამოაძვრენს ხოლმე) მაგრამ რალამაც შემბოქა, შემკრა, სისხლი თავში ამივარდა და გულმა ერთხანს ძვრაც კი შესწყვიტა... შენ მომიხლოვდი გინდოდა ერთხელ კიდევ გესარგებლნა ჩემის სისუსტით, ერთხელ კიდევ, დაგეთვრე ალერსიანის სიტყვებით, მომხვეწოდი, მაგრამ შეურაცყოფილს შენი აღარა მწამდა რა... ხომ გახსოვს სახლიდანაც კი დაგიბოძოვე... იმ წერილის შემდეგ ჩვენი მიჯნურობა შეუძლებელი და იყო.

მომშორდი... მოეფარე ჩვენის სახლის ფანჯარებს... გულმა კანკალი დამიწყო... ცოტა გაწყდა უკანვე არ მოგიჩემე, რომ დამეჩოქნა შენ წინაშე და ბოღში მომხედინა... მაგრამ შენ ხომ ვერ მიხვდებოდი ჩემის საქციელის მნიშვნელობას. შენ შენებურათ გასჯიდი, „კაცის დანახვის სურვილს მიაწერდი.

სიყვარული და შურის ძიება, შენის მოხვეწვისა და ამავე დროს შენის გალანძღვა-გაკიცხვის სურვილი გულზე მეჭიდებოდა და... ოხ ღმერთო ჩემო, რა უღეთოთ ვიტანჯებოდი ამ დროს! მაგრამ... შენ ხომ სხვაც ისე „გიყვარს“ როგორც მე... არა! მე ქალი ვარ და ქალებმა საზიარო სიყვარულის არა ვიცით რა...

ვინ იცის, ჩემო მკვლელი, ბულვარზევე შეგხვდა სხვა ქალი და იმას გააყოლე შენი გულის დარდები, ვინ იცის უცხო ქალთან აღერსით ასე თავდავიწყებამდის მიხვედი, რომ ჩემის ხელიდან გამონატაცი „წერილის ნაგლეჯი“ უსიამოვნოთ გადაისროლე ქუჩაზე, რომ იმისათვის გაგეტანებია შენი იასავით დღე მოკლე სიყვარული. მე კი... მე კი პირქვე დავემხე იატაკზე და გონება მიხდილი ჩემ მოტყუებულ თავს გტოროდი!

ვერავინ, ვერავინ დუნიაზე ველარ გასწევს შენოდნობას ჩემს გულში, სიყვარული კი არა სიძულვილის მეტი აღარა შემიძლიან რა!

ჩავიგრიხე, ჩავიწან გულში მწარე ფიქრები და ჩემ შხამ გადასხმულ ცხოვრებას ჩრჩილი ჩააჯდა. დღეიდან უნდა დავდნე, დავიწვა, როგორც წმინდა სანთელი!

რო აღარც მასვევებ! დღეს გაზეთში ამოვიკითხე ჩემთან მოწერილი „წერილის ნაგლეჯი“, კეთილ კაცს უბოვნია ქუჩაზე და გამოუტყვევნებია. ვინ იცის იგრძნო, რომ უმანკო, ჯერეთ გაურყენელი ქალის ცრემლებით იყო განბანილი იგი უსტარი!

კვლავ ამეშალა გულის იარა და დიდი-ხნის დაგუბებულ ბოლმა ცეცხლივით მოედო ჩემს არსებასა... გადავწყვიტე მეც საჯაროთ ვიასუხო. იქნება ცოტათ მაინც შემომსუბუქდეს გულის ვარამი. მაგრამ ან კი რა ვითხრა... ენა მოქარგული და გალანძღულსაიდან უნდა მოგივიდე?!

მაგრამ არა, ბარაქალა შენს დაკვირვებას და უფრო ბარაქალა შენ გულ-წრფელობას! ესეც პატიოსნების ერთი დარგია. მხოლოთ? მხოლოთ ის, რომ გულწრფელობით ყოველთვის ქუჟაი ვერ ასწავლი ადამიანს... მე კი, დეთის წინაშე, მაშინვე თვალები ამიხილე და დამანახვე შენი „მე“. მხოლოთ შენი კი ნუ დაგავიწყდება, რადგანაც პირადათ შენი გულის თქმა ამავე დროს ყველა გულის თქმა არ უნდა იყოს. მე კი ასე მწამს და....

თავს იკატუნებ, თავს მბრალეებ და მეფიცები „კვლავ მიყვარხარო“. რატომ არ გრცხვენის შენის სიტყვისა; იმ

დროს როდესაც გულ-გადაღებული ვიწვექ ხოლმე და იცნებოთ შენ, შენ გეაღერებოდი, ჩემო მკვლელი, როდესაც გრძნობათ გარდაქცეული მარტო შენზე ვფიქრობდი, შენის გულისთვის ცრემლებსა ვღვრიდი, იმ დროს როდესაც ცხელში თითქოს გახურებულ შამფურებს მიტარებენო და სული ჩემი შენ დაგტრიალებდა თავსა, როდესაც ყოველივე შენს გარეშე ჩეთვის მკვდარი იყო და შენა მყვანდი მხოლოთ „ხატათ და ჯვარათ“, შენ თურმე სხვებს „ეტრფოდი“ ცხოველივით და თან კი მწერ მიყვარხარ, რომ მეტი აღარ შეიძლებაო.

სტყუვი და სტყუვი უსირცხვილოთაც... შენ ამ დროს აღბათ სხვა ქალები არ დაგინახავს, თორემ ხომ იმავე წამში დაგავიწყდებოდი...

სასაცილოა, სასაცილო შენი საქციელი, გული რომ არ მიკვდებოდეს და სამართებელივით არ ბასრავდეს ეს სიტყვები ჩემს არსებასა!

შენით ვცოცხლობდი, შენის შეხვედრით ვაგმაგრდი, ვაგმაყდი, შენმა ფიცმა ფრთები შემასხა და შენმა ერდგულობამ (ასე მეგონა) მალა, ცაში ამიტაცა, რომ იქიდან მეთვალღიერებინა ეს, ამ ქამათ, ჩემთვის! სამოთხეთ გადაქცეული ქვეყანა... მეც ვუმზერდი სულ ამალღებულ და სამყარო ნეტარების სამეფოთ მიმანდა... და ჩვენი სურვილი კიდევ ცა და ქვეყნის შემაერთებელ ხიდათა... მაგრამ არ დამინდევ, მხარი ვერ მომე და უსინდისოთ გადმოამისროლე ამ ხელთ უქმნელ ნეტარების საბრძანებელიდან... გადმოამისროლე, ცხოვრების ტალახში ამომსვარე და ახლა მეკითხები: „შენც ისე გემართება თუ არაო ე. ი. შენც ყოველი კაცის დანახვაზე ღინი მოგდის და სიყვარულით ენთებო?... განა მანკიერს კიდევ შემიძლია უმანკოთ სიყვარული?... სამწუხაროა, როდესაც ქალის გულს ასე ნაკლებათ იცნობ! განა რა ადგილი აქვს წყლისაგან წალეკილ, გავერანებულ რიყეზე ყვეილ-ბალახთ, რა ადგილი აქვს ერთხელვე გაღესილ, —რწმენა! წარხოცილ გულში უმანკოებას?... გულ ახლით გვეუბნები მე არა ვისი სიყვარული არ შემიძლიან... დღეის შემდეგ არც კი არსებობს პირადათ ჩემთვის ეს სიტყვა... თუ ვავხეცილი და ვავგულგრილდი ეს გარყენილება იქნება და არა სიყვარული... ან კი როგორ გამრთელდება მოუჩინელი ქრილობა?... მხოლოთ შენ და ისევ შენ ტარტაროზივით დახეტიალებ ჩემის გულის სიღრმეში და სიცოცხლეს მიწამლავ, ვილასთვი-ლამცალიან?...“

შენგან კი აღარ მიკვირს, რომ ყოველი ქალის დანახვაზე ელეთ-მელეთი მოგდის. (აქაც სტყუი, როდესაც ამბობ, რომ ოღონც „ლამაზი“ ქალი კი იყოსო!) არ მიკვირს რომ ენებათა ღელეთ ყოფილხარ გადაქცეული, მხოლოთ ეს მიკვირს და ამასა ვწუხარ, რომ რატომ აქამდის არ ვხედავდი ამას, რათ გენდობოდი! რატომ არ ვიცოდი, რომ... სიყვარული რჩეულთა ხვედრია და ჩვენ გათახსირებულ საზოგადოებაში რჩეულნი კი ძრეულ ცოტანი არიან.

თქვენ, მამა კაცები საზოგადოებისაგანა ხართ გარყენილნი და თქვენი გაქსუებული გულისთქმაც კანონიერათ არის აღიარებული.

ჰაი, ჰაი, რომ მოგვატყუებთ, თავს-ბრუს დაგვასხამთ, ჩვენ, ქალები ხომ მარტო საარზიყო საგნათ მიგანჩივართ, და ამავე მიზნისათვის გვზდის საზოგადოება, ჩვენი ღელმამა... ჩვენ ხომ გრძნობათა ვართ გარდაქცეულნი და უფლება, სწავლა განათლება კი... ოხ, რა გვეშველება... სიყვარულიც კი საბურთაოთ ვაგიხდათ... ვინ იცის რამდენი უმანკო, სიყვარულისათვის მოვლინებული ახალგაზდა ქალი მოუტყუებია თქვენ ალერსს, თქვენ ცბიერებას... ყველა ჩვენი ახალგაზდა ქალები ვისაც კი თქვენი ენა მკვირობა მოუხმენია, გა-

გირყვანიათ, გაგიორგულდებიათ, გზაკვალი აგირვეიათ, თავი შეგიყვარებინებიათ და... მერე კი უწმინდურის ხითხითით უკუ გიგდიათ. ვაი იმ ოჯახს, სადაც ასეთი გულ-გატეხილი, ქკუა ამღვრეული ქალი დაიბუღებს... რა, რა პასუხს აძლევთ, ყმაწვილებო, შეგინებულ ოჯახსა!

მაგალითად, რიდას მაქნისი ვარ თუნდა მე. სხვის სიყვარული აღარ შემიძლიან და მეოჯახებო ხომ ჩემთვის საარაკო შეიქნა!... რათა? რისთვის? დამეკითხები გულ გრილის ღიმილით. იმიტომ რომ ჩემი გული გატეხილია და გატეხილი გული კი ვეღარ შესძლებს ვისიმე ლოლითაობას.

შენ ვერ მახვლები! საროსკიპოთ აქტრებული გულის თქმა ვერ შეითვისებს იმ სიამოვნება-ნეტარებას, იმ ტანჯვა ვაებას, რომელსაც მე გულით ვატარებდი, რომელსაც მე ვეთაყვანებოდი; როდესაც ჩემი კდებო მოსილება შენ დაგიმონე და ჩემი გული შენ გულს ჩავაწანი... როდესაც... ემ რალა ვითხრა, როდესაც მეგონა, რომ შენის დანაშაულებ-მგობრებით ცხოვრების მწიკვლს თავს ავაცდინდი და მის გაუმჯობესება-გაფაქიზებაზე ვიბრძოდი... თურმე კი შენისთანებს მარტო ხელის-ფათური, ჩაკანება ასულდგმულებს, მარტო ამაზეა გამობმული თქვენი ვითომდა სიყვარული! სხვა კი?... მაგრამ რა სხვა! სიტყვებით ვერ გამოითქმის სპეტაკი გულის, სპეტაკი მისწრაფება!

...ახ, განა კიდევ ვძებ სიყვარულსა?! გვიან-ლაა, გვიან! ერთხელვე გათახსირებული გული სიკვდილამდე გათახსირებული დარჩება... მხოლოდ სამწუხარო ეს არის, რომ ამ გათახსირება-გამწეცებაში შენისთანები კიდევ პოვებენ სიტკბოებასა...

მეკი საშუდამოთ შეურაცხყოფილი, დაზარალები ვიქნები... და სიყვარული კი... ვერა, გულწრფელათ ვერავის ვეღარ ვეტყვი რომ „მიყვარხარ მეთქი! ამას ჩემი ქალური თავმოყვარეობა—სიფაქიზე არ მომცემს ნებასა.

მხოლოდ მსურს კი იმდენი შეძლება მქონდეს, რომ შენისთანა გულგაკვერილი ყმაწვილები დღეის შემდეგ კაბის ბოლოზე გამოვიბა, ვაწვალო, ვტანჯო და როდესაც პირუტყვის ხარისხამდის მივლენ, ზიზლით ხელი ვკრა და სიცოცხასკასით მოვიგერო.

ამაში ვპოვებ სულის სიმშვიდეს. ეს იქნება სამართლიანი გრძნობა შურის ძიებისა!...

აი ჩემი გულწრფელი აღსარებაც და ტყვილათ ნუ გგონია რომ მე შენ ოდესმე გეფლიდებოდი და ან გიმაღავდი რამეს...

P. S. ახლა კი მშვიდობით. მინდოდა ამ წერილის ბოლოში ხელი მომეწერა... მაგრამ ან კი რა საჭიროა ეს, შენ ხომ მიხვდები და სხვისთვის აბა რა საინტერესოა. ახლა ჩემი სახელი გაუხდებათ საჭორავათ. ჩვენში ხომ წრფელი გული და წრფელი სიტყვა ჩალათაც არა ღირს *).

15 იანვარი—97 წ.

წერილი ბათომიდან.

ხელხისთვის სასარგებლო დაწესებულებათა რიცხვით ჩვენი ბათომი ერთ-ერთ სამწუხარო მაგალითს წარმოადგენს იმ ქალაქებისას, სადაც ხელს ან სულ ცოტა, ან და არავითარი ყურადღება არ აქვს მიქცეული. მკანია, ისეთს ცოტათ თუ ბევრს სასარგებლო დაწესებულებებს, როგორც სამკითხველოები,

*) ეს წერილი ამ ხუთი წლის წინათ ვიპოვე ერთის ქალის ქალაქ-დებში მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო აქამდის ვერ ვახსენებ, ხოლო როცა ხელ მოეროთ წაგიკითხე „წერილის ნაგლეჯი“ ბ. შ. არაგვისპირელისა გამახსენდა და ვთხოვე „კვალის“ რედაქციას ადგილი დაუთმოს ამ წერილს. ია ეგლაძე.

სასაღხო თეატრები და სხვა ამგვარები, ქალაქი არ უნდა გაურბოდეს და ამით მაინც აკმაყოფილებდეს თავის შემოსავლის შემქნელ მარჯვენებს. ჩვენი ქალაქის თვითმართველობა, რომელსაც საკმაოდ დაფინანსებული, ძლიან ცოტას ფიქრობს, ცოტას მართობს—ამის შესახებ. მართალია ქალაქი კაი ძალს ახსნის ეწვეა სწავლა-განათლების საქმეში, მარა ამ ხარჯების ნაწილი ან სრულიადაც არ მიდის დაბალი ხელხის სასარგებლო, ან და თუ მიდის, ძლიან ცოტა. და რის ხომ თავის შეიღის აღზრდა გიმნაზიაში არ შეუძლია და პირველ-დაწვებითი სასწავლებლები კი მხოლოდ ორი აქვს ქალაქს. ეს სასწავლებლები—და სხვა აქური ხარველ დაწვებითი სასწავლებლებიც—სავსეა მოწაფეებით, ნორმაზე მეტს იღებენ, თითო კლასში 80—100 შეკირდი ზის, მარა სასწავლებელში შესვლის მსურველთა რიცხვს ეს სასწავლებლები ვერ აკმაყოფილებს; ხსენებო სკოლის გარეთ რჩება გულ-დაწვეუტილი, თვალ-ცრემლიანი. და აი, საკვირველი კიდევ ის არის, რომ როცა სასწავლებელს გული უგებდა ასეთი სურათის დანახვაზე და როცა ის, ამ გვარის გარემოების წყალობით, ნორმაზე მეტს ღებულობს, რომ მით მაინც რამდენიმე ბავშვი გამოსტაცოს ფავსანებს და სხვა გვარ დაწესებულებებს, ზოგიერთი ჩვენი ვაუბატონები ერთს აღიქმის აქვენებენ „იგერიის“ ფურცლებზე და მზათ არაინ ასეთი სასწავლებელი ჯვარს აცვან! მოიგონეთ „ჩიორას“, უშმისთავლის და მდ. გულისსშვიდის ჩვენი მწერლობის სამარცხნინო წერილები აქურ ქართული სკოლის სასწავლებლის ის. რამიშვილის წინააღმდეგ.

მართალია, რომ ამ უმათ ბათომის თვითმართველობა საფუთო შემოსავლის წართმევით, მეტათ გაჭირებულ მდგომარეობაშია, მარა ისიც მართალია, რომ სხამ ეს საფუთო გადასახადი მის განკარგულებაში იყო, სასაღხო სამკითხველო, სასაღხო თეატრი არავის არ მოგონებია. მართალია ამ ბოლოს თეატრზე აღძრეს ღახარაკი, მარა ჯერ ერთი მის გამართვას ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა, მეორე—ეს თეატრი სასაღხო თეატრი მაინც არ იქნება. მარა მისი გამართვა მაინც მეტათ სასარგებლო იქნება, თუმცა ვეჭვობ, რომ ბათომი მეგრული ფაცხისებურ „რეინის თეატრის“ მეტ, თეატრს ეღიაროს. კიდევ ქალაქის სასაღხო თავმა თავის „რეში“ „ვიშრომით აგრეთვე ხელხისათვისაც“ ბრძანა და იმავე სხდომასზე გადაწვეტეს გამართონ მუშათა უბანში პირველ-დაწვებითი სკოლა, მარა ეს „მიმატება“ წვეთია ზღვაში, თუმცა ამ „მიმატებისაგან“ მისატანი სასარგებლოა ცხადი და ნათელი. კვლავ გამოვთქვამთ იმედი, რომ „ვიშრომით აგრეთვე ხელხისათვისაც“ ამით არ გათავდება და ამას სხვებიც დაემატება. ამას დაგვანახებს მომავალი. ბათომში გვექნადა სასაღხო უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მარა ჩვენი უთავბოლობით, დღეს ამ ბიბლიოთეკის კარები დასშულია.

ერთი სიტყვით—ჩვენი ბათომი სასაღხო საქმეებით სადათს ძილით განისვენებს და უოველივე შრამს ხელხისათვის რაიმე სასარგებლო დაწესებულების შექმნაში, ან და უგვე შექმნიდის მოგვასა და ზრუნვაში სამწუხარო და აღსანიშნავია. აქვს ბათომს ერთი იმ გვარი დაწესებულება, კერძო პირთაგან დაარსებული, რომლისაგან უმწვეო ხს ხისათვის მატანილი სასარგებლოა ცხადია. მე მოგახსენებთ „ბათომის საქველ-მოქმედო საზოგადოებაზე“. ეს საზოგადოება 18 წელზე მეტია, რაც არსებობს და მის არსებობაზე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში კრინტიც არ დაძრულა. ვინ არ იცის, რომ ბუჭვითი სიტყვით საზოგადოების გამხსნევა, ხაკლისა და ღირსების აღნიშვნა, დაფასება, სასარგებლოა. მარა ზოგიერთ ჩვენ კორესპონდენტებს კერძო ინტერესები უფრო ახლო აქვთ გულთან, ვინემ სასარგებლო საქმეები და საკვირველიც არ არის, რომ ასეთმა კორესპონდენტებმა სასარგებლო დაწესებულებებს განკებ თვადი მარადონ, უური მოყურონ, არ გაანონ ის საზოგადოებას.

ჩვენ არ ვეკუთვებით ისეთ პირთა რიცხვს, რომელნიც საქველ-მოქმედო და სხვა ამ გვარ საზოგადოებათა მეხებით დიდს რამეს, ქვეყნის აუვაებას მოქლიან. საქველ-მოქმედო საზოგადოებებს, რომ

ასეთი როლი ვაკუუმით—სასტილი იქნებოდა. მარა ამ გვარ დაწესებულებებს, რომ სარკებლობის მოტანა შეუძლიათ, ეს კი ცხადია, ამას დაგვანახებს ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოების დახმარებით განცხადებამ. როგორც ამ საზოგადოების წესდებიდან ჩანს, მისი მიზანია: ქ. ბათუმის ღარიბთა და უმწიკრთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამისდაგვარათ საზოგადოება თავის შეძლების მიხედვით ა) ე. თხრობით ან და ყოველ თვიურათ ეხმარება ფულით იმ ზირთ, რომელთაც არ შეეძლოთ ძალ-ღონე შრომისათვის მოხუცებულობისა, დაშავებისა, ან და ავთიმეფობის გამომდინარე ამ მიზეზით მოკლებული არიან ცხოვრებისათვის საშუალებას. ბ) ქ. ბათუმის ღარიბ მცხოვრებთა ბავშვებისა და ობლების აღზრდა. გ) რაიმე უბედური შემთხვევებით (ავთიმეფობის გამომდინარე და სხვ.) დაზარალებულთათვის უზრუნველყოფის საზოგადოების წევრის თანამდებლობით ფულის სესხება, დ) დახმარება რაიმე საქმის ან სამსახურის მიხედვით და აგრეთვე ღარიბ მშობლებთათვის სამუშაო მისაღობის მიხედვით და ზრუნვა კარგ ფასეულობით მათი ნაწარმობის გასაღობისათვის, ე) აკება თავშესაფარისა და სხვა ამგვარ საქველმოქმედო საქმეებისა და აგრეთვე შრომის შემდეგ ღარიბ ზირთათვის სახელმწიფოს გამართვა.

როგორც ამ საზოგადოებას ანგარიშებიდან ჩანს, საზოგადოება არ ზოგავს ძალ-ღონეს თავის მიზნის შესასრულებლათ. გასაცნობის მის მიერ ამ საქმის სიუფარული, მისი დაუღალავი ენერჯია. 1900 წელს (1901 წ. ანგარიში ჯერ გამოუქვეყნებულა, გაცხადებულა უფრო მთავრობისათვის) საზოგადოებას ყოლია 20 სანატიო წევრი და 181 ნამდელი. *) მარა სწევრო ფული არ შეადგენს ამ საზოგადოების უმთავრეს წყაროს. ასეთ წყაროთ უნდა ჩათვალოს წარმოდგენებისა, სდამობისა, სეირნობისა და კერძო შემწიფრებებისაგან შემოსავალი.

საზოგადოებას შემოსავალ-გასავალი ქონია:

	1897 წ.	1898 წ.	1899 წ.	1900 წ.
სწევრო ფული.	366—50	371—50	311—50	373—50
სულ შემოსავალი.	12901—23	13198—70	15745—64	10264—9
საჯი . . .	7669—60	8381—49	13460—64	8870—33 **).

ამაში ქალაქი ეწევა საზოგადოებას უფასო სამკურნალო სახლისათვის 500 მ. და 1898 წლიდან თავშესაფარებისათვის—700 მ. საზოგადოებას აქვს უფასო სამკურნალო, რომლის სადგომში ყოველ თვიურათ იხდის 400 მ., სდაც ბათუმის ექიმები მორიგეობით ეწევიან შრომას, რასაკვირველია, უსასყიდლოთ. 1900 წელს ამ სამკურნალოთი უსარგებლებია 3464 ავთიმეფობის, აქედან 2128 მამაკაცს და 2336 დედაკაცს. ამათგან ექიმების რეცეპტებით უფასოთ მიუღიათ წამალი 2734-ს დასარჩენს 730 კაცს საზოგადოების თხრობით შეათათაქე ბეტკევიჩი აძლევდა წამალს 40% დაკლებით. ბავშვთა თავშესაფარი და აგრეთვე მასში მოსამსახურენი სარკებლობენ უფასო სამკურნალო სახლისათვის.

საზოგადოებას აქვს აგრეთვე ღარიბთა გასათევი თავშესაფარი. ამ თავშესაფარათ სარკებლობენ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, აგრეთვე უღუკმა-პურათ დასარჩენილი მოსული მუშები. ასე, რომ აუცილებელმა საჭიროებამ საზოგადოებას ძალა დაატანა გადახვათ წესდებისათვის „დახმარება მხოლოდ ქ. ბათუმის მცხოვრებთათვის,

*) საზოგადოება სპატიო წევრებათ ირჩევს ისეთს პირებს, რომლებსაც რაიმე განსაკუთრებული სამსახური მიუძღვით საზოგადოების წინაშე, ან და საზოგადოებისათვის შეუწირავთ საგრძობელი თანხა. ნამდელი წევრებათ ითვლებიან ისეთი პირნი, რომელნიც ყოველ წლიურათ იხდიან 5 მან. ან და ერთხრობით შეაქვთ საზოგადოების კასში 100 მ. არიან კიდევ წევრნი соревнователи, რომლებიც იხდიან წელიწადში 1 მ., ან ერთხრობით 25 მან.

**) დაცქერდენ ამ ციფრებს „ჩიორები“, ეუმისთავებები, მღ. გული-საშვილები, მძანი მათნი და მგონია, რომ მასე ვერ იგანგაშებენ: ბათუმს არ შეუძლია ქართული სკოლისათვის მესამე მასწავლებლის მოწვევა. ბათუმს ისიც შეუძლია, რომ განხანს ქალთათვის ქართული მასწავლებელი, მხოლოდ ამისთვის საჭიროა შრომა, ენერჯია, მუყაითობა.

რომ დახმარებოდნ მოსულებსაც. 1900 წელს თავშესაფარით უსარგებლებია 9131-ს, მათგან 4675-ს ფასით (იხდენ მხოლოდ უსარგებროთ ეძლევათ დილა-სადამის ჩაი ზურით) და 4456-ს უფასოთ. კარკმეთათვის საზოგადოებას დახმარება ადმოუხენია 434 კაცი სთავის. ამათში ყოველ თვიური დახმარება ადმოუხენიათ 20 ოჯახისათვის სულ 729 მ., 21 ოჯახისათვის ერთხრობით—315 მ., 147 ზირთათვის 445 მ. 50 კ., 3 ღარიბთათვის მიცვალებულის დასაცნობათ—23 მ., გადაუხდათ სწავლის ფული 4 შეგირდისა—50 მ., უფასოთ გაუმჯობესებიათ 143 კაცი. მიუციათ 2716 უფასო სდალი, ტანისამოსი მიუციათ 27 ღარიბთათვის. ანგარიშში დაბეჭდილია სხელი და გვარი იმ ზირთა, რომელთაც საზოგადოება დახმარება. მათ გვარებში ჩვენ ამოვიკითხეთ როგორც რუსების, ისე ქართველების, სომხების, ბერძნების და სხვათა გვარები.

საზოგადოებას აქვს აგრეთვე თავშესაფარი ობოლთათვის და ღარიბთა შვილებისათვის. ჩვენ შემთხვევა გქონდა დაგვეთვალიერებინა ეს თავშესაფარი. რადაც გამოუჩვენებელი, თან სიამოვნების და თან განუსაზღვრელი დარდის ურუნტელი დაკვივლით მის დათვალიერების დროს. სიამოვნებისა რომ ხელდათ აქ უბედურთა ზაწია შვილებს, რომლებიც სიღარიბეს მოუშორებიათ მათი მშობლებისათვის, აუფანიათ კეთილ აღმინებს, უფლიან, აცმევენ სუფთათ, სწავლიან, დაუქირავებიათ მათთვის მომეფელები, მასწავლებელი, მზარეულები. დარდისა—მიტომ, რომ ჩვენი უკუღმართი დრო ამორებს მშობლებს თავის ზაწიებს, და მოკლებულნი მშობლებურ აღერს, მშობლებურს ნახს, მშობლის ძუძუს, აქატარებენ დროს. ბეგრმა არც იცის თავის ვინაობა, არ იცის თუ ვისი შვილია. აი ის, თმა-ხუტუტა ზაწია ვაჟი, იქნება, იმ უბედური ქალის შვილია, რომელიც აუტანელმა სიღარიბემ გამოაგდო სოფლიდან ქალაქისაკენ ბედის საძებრათ, აქ კი ახალგაზრდურმა გამოეცდებოდა, ათასგვარ შემადგენელმა მხეებმა, აღმინის გაიფერაობამ ახდა მის ნამუსი, რასაც შედეგათ მოევა ეს ვაჟი, იქნება, ის ზაწია ბუნხულა გოგონა, და ამათმა გაჩენამ ქვეყნათ ისეთი თავზარი დასცა საბრალო დედამისს, რომ ვეღარ გაუძლო დაცინვას, სირცხვილს და გადასწევითა თავისი ცოდვის შვილი მოეშორებინა თავიდან. ზირველ დახმარებულე ეტეობს ამ ტენჯულთა შვილებს, რომ, თუმცა მათ კარგათ უფლიან, კარგს ასმევენ, კარგს აჭმევენ, კარგათ აცვამენ, კარგათ ახურვენ, მარა რადაც მანინ აკლიათ. ეს „რადაც“ არის დედის თფილი მკერდი, მშობლებური აღერსი და გული გიკვდებათ, თვალბუხე ტრემლები გადაკვებთ, როცა თქვენი თვლები რომელიმე ბავშვის დახმარებულის თვალს შეხვდება, რომლებიც თითქმის გვეით-სებია: ხომ არ იცი ჩემი მამა, სდა არის ჩემი დედა!..

ბავშვთათვის თავშესაფარი შედგება სუფთა, ნათელ და ფართო რამდენიმე ოთახებისაგან. ერთი დიდი ოთახი სკოლაა, მეორე ვაჟთათვის საძინებელი რკინის კრატებითა და სუფთა ღოგინებით, მესამე—ქალებისათვის. აქვთ სსადილო ოთახი, სარეცხისათვის, სკუჭნავო და სხვ. ამ ჟამათ თავშესაფარში სულ 35 ბავშვია. მათში ორი სულ ზატარები. ძუძუ მწოვრებისა, დასმობრნიც ცალკე ვაგს მიჩენილი გამზრდელი. რამდენიმე მოზრდილი ჭრა-კერვის სკოლაში მიუბარებიათ, რამდენიმე ემწვილები აქურს სმეჭაქაქა სსწავლებულში. ერთს ამათგანს წლეულს გაუთავებია სწავლა და გზავნიან სწავლის გასაგრძელებლათ ქუთაისის სამკურნალო სსწავლებულში, თავშესაფარში ზოგიერთ ბავშვთათვის წულების კერავც უსწავლებიათ. აქვთ საკუთარი სახელმწიფო, სდაც ეს ზატარები თავის ამხანაგებს წულებს უკერვენ. თავშესაფარშივც აგრეთვე სამი დამბლათ დაცემული მოხუცი. აღსანიშნავია ერთი: თავშესაფარში ადმოუხრდათ ერთი დამბლა დაცემული ბავშვი, დამბლა სხეულის მარჯვენა მხარეზე აქვს. დედს ის უკვე მოზრდილი ჭაბუკია და მსახურობს აქურს მმორიგებელ სსამართლოში მწერლათ, წერს თურმე მშენივრათ მარცხენა ხელით. საზოგადოებას მომატებია ფრათ სავრძობელი ქონება. ბ. დეპუტის საზოგადოებისათვის შეუწირავს ბათუმთან ახლო მდებარე ადგილი, ზომით 9 დესიატინა. საზოგადო-

ებს ფიქრებს გამართოს იქ თავსესფარი, თუ რამ ახლანდელს თავსესფარს შესთქვას ფასში გაიდას.

ამ თვის 6-ს სსზგადგებამ თავის სსსრგებლათ სეინსება გამართა. რაგვარც ყაველთვის, წელსაც სეინსება ფრად საინტერესო მრავალმხრივით იყო, რამაც დაიდალი ხალხი მიიზიდა; მიუსვდავით იმისა. რამ ამ უმათ ბათმიდან ბევრნი სააკრავათ არიან წასულნი, სსზგადგებას წმინდა მისკებელი 1200 მან. დაჩხა.

კატო.

რაოდენობა, მომუშავეთა სხვა-და-სხვა სამრეწველო დაწესებულებებში და მათი ხელფასის საერთო ჯამი.

(აკრდ რაიტის თხზულებიდან: ამერიკის შეერთებულ შტატების ინდუსტრიის ევალუაცია).

(დასასრული იხ. № 33).

მოყვანილ ციფრებიდან არ უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ მაშინების შემოღება რომელსავე ინდუსტრიაში აუცილებლათ აწვედა მუშათა რიცხვის მომატებას განსაზღვრულ ღირებულობის შექმნაში. ეს ციფრები გვიჩვენებენ მხოლოდ შემდეგს: იმ ადგილებში სადაც მაშინები შემოქონდათ პროგრესიულათ და ნაწარმოებიც უკეთესია, საჭიროა მეტი მუშა იმავე ღირებულების შესაქმნელათ, ვიდრე იქ, სადაც ეს პირობები არ არის.

მაგალითათ, მუშათა რიცხვის და სამუშაო ჯამის მატება ტექსტიური ინდუსტრიაში და ფესსაკმელის ქარხნებში (ამ ორ წარმოებათა დარგში მაშინიზმმა უაღრეს წერტილამდე მიაღწია) გამოიხატება შემდეგი ციფრებით: 1860 წ. ტექსტიურ ინდუსტრიაში იყო 194,082 მუშა, რომელნიც იღებდენ 40.354.462 დოლლარს, როდესაც 1890 წ. 501.718 მუშა იღებდა 163.516,593 დოლარს ხელფასს. წლიური საშუალო ხელფასი მომუშავეთა 1860 წ. ავიდა 207,92 დე, და 1890 წელს 325,91-დე, ე. ი. 30 წლის განმავლობაში იმატა 56.75%-თ. ფესსაკმელის ფაბრიკებში მაშინების პროგრესიულათ შემოღება დაიწყო 1850—1860 წლებიდან. ამ ათი წლის განმავლობაში კმინდა შემოსავლის პროპორციონალური ნაწილი, რომელიც ხვდებოდა შრომას დაიწია 72%-დან 63%-დე. წლის საშუალო ხელ ფასმა აიწია 205,43-დან 251,48-დე; წმინდა შემოსავალმა იმატა 63%-თ და ერთ დოლლარი წმინდა შემოსავლის მისაღებათ საჭირო თანხამ აიწია 43-დან 48 ცენტამდე. გასული 30 წლების განმავლობაში 1860 წლიდან 1890 წლამდე პროპორციონალური ნაწილი წმინდა შემოსავლისა, რომელიც ხვდებოდა შრომას, შემცირდა 50%-თ; საშუალო წლიურმა სამუშაო ფასმა აიწია 447,44-დე, წმინდა შემოსავალმა იმატა 171%-თ და ერთი დოლარი წმინდა შემოსავლისთვის საჭირო თანხა ავიდა 88 ცენტამდე.

რაც შეეხება მუშების საწარმოო უნარის მატებას, ეს კარგათა ჩანს იქიდან, რომ 1830 წელში ბამბის საფეიქროებში 25 სართავზე საჭირო იყო ერთი მუშა, ხოლო 1890 წელს, მაშინების გაუმჯობესობის, მუშაობის მეთოდები და პროფესიონალურ დახელოვნების გაუმჯობესობის გამო ერთი მუშა ამუშავებდა 54, 81 სართავს

მაშინების შემოღებას შედეგათ მოყვა არაჩვეულოებამ ჩვენი ინდუსტრიალური სიმდიდრისა, არამედ მუშათა რიცხვისა, მათი სამუშაო უნარისა და ამავე დროს ხელფასის აწევა და სამუშაო დროს შემცირება. ამის გარდა წარმოების ღირებულებამ და პროპორციონალურმა ნაწილმა წმინდა შემოსავლისა, რომელიც ხვდებოდა შრომას, დაიკლო, იმდროს, როდესაც კაპიტალმა და მოგებამ იმატა.

ამ საზოგადო დასკვნათა შემდეგ, რომლებიც ჩვენ გამოგვყავს მუშების პარობების შესახებ ცვლილებების ინდუსტრიალურ რეჟიმის განმავლობაში, საჭირო იქნება შევიჩრდეთ

კოტახანს იმაზე თუ რას გვიჩვენებს ჩვენ 1890 წლის აღწერა შესახებ მუშათა რიცხვისა და ხელფასის საზოგადო ჯამისა.

სტატისტიკიდან ჩანს, რომ სახელდობრ დასავლეთ შტატებში უფრო მომეტებულია სამუშაო ფასი, ე. ი. იქ სადაც ცხოვრება უფრო ძვირია.

პირველი ადგილი უჭირავს Wyoming, სადაც საშუალო წლიური ხელფასი მამაკაც მუშებისა ყოველნიერ სამუშაოში (გარდა ნაქრათ მომუშავეთა) ახწევს 806 დოლარამდე. კოლორადოში ორთაშუა 685 დოლარამდე. ყველაზე მეტ საშუალო ხელფასს აძლევენ ქალაქის პატრონების ფაბრიკებში, თუმცა კი იმ შტატებში და ინდუსტრიალურ ადგილებში, სადაც უფრო მომეტებული სამუშაო ფასებია, სტატისტიკურათ ნაკლებათ არიან გამოკვლეულნი. ამიტომ დასახელებული საშუალო ფასები ვერ გვაძლევენ საშვალებას დანამდვილებით გამოვარკვიოთ ყველა შტატებში საშუალო ხელ ფასები.

მეორე მხრით უმთავრეს ინდუსტრიათა კონცენტრაციამ რამდენსამე, მაგრამ ფრია ღ დიდ ქარხნებში, გამოიწვია ის, რომ მრავალი მუშა მუშაობს დაწესებულებებში, რომელთა რიცხვიც შედარებით ძლიერ შეზღუდულია. ასე მაგ. 905 ქალაქის სართავ ქარხანაში წლის განმავლობაში ყოველ დღე მუშაობს ორთა შუა 221.585 კაცი, ხოლო 11 კაუჩუკის ფესსაკმელის ქარხანაში კი 9000—ე. ი. თითო ფაბრიკაში 842 მუშა. თუმცა კი ეს რიცხვი აღემატება ყოველ დანარჩენ საშვალო რიცხვს სხვა ინდუსტრიათა 1890 წ. ქალაქებში, რომლებშიც 20 ათასი სულია, ცხოვრობს 24%-ს ჩრ. ა. შვერ.—შტატების მოქალაქეთა და ამ ქალაქებში თავმოყრილი სამანუფაქტუროები აძლევს სამუშაოს მუშების 62%.

ანგარიშებიდან ჩანს, რომ 418.081 მამაკაცი და 42.928 ქალი ასრულებდენ ღირექტორების, ზედამხედველების, ანგარიშის მწარმოებლების და მოურავების თანამდებობას. ყველა მათი საერთო ქირა უდრიდა 391.988.908 დოლარს, ე. ი. ორთაშუა წელიწადში 850.28 დოლარს, ხოლო დანარჩენი მუშები კი იღებდენ 444,83 დოლარს. ორთაშუა ერთი ღირექტორი, ან ერთი ზედამხედველი, ან მოურავი მოდის 9,22 მუშაზე. ამ გვართ თითქმის მეთედი ნაწილი დაქირავებულებისა ასრულებენ ზედამხედველების, ღირექტორების და სხვ. მოვალეობას. ხშირი ცვლილება ინდუსტრიალურ ოპერაციებისა, საჭიროება დანამდვილებით გამოიანგარიშოს საზოგადო ხარჯები და ფასი საწარმოოთ საჭირო ელემენტებისა მის სხვა და სხვა მომენტებში, აგრეთვე, ერთი ერთმანეთზე მოდების ცვლილება, რომლებსთვისაც საჭიროა ახალ-ახალი მოდელები და კარგი გემოვნება, აძლიერებენ ამ თანამდებობათა მნიშვნელობას. საჭიროა აგრეთვე საუკეთესო დახელოვნება, სერიოზული მეცნიერული ცოდნა ხანგრძლივ პრაქტიკასთან შეერთებული. ასეთია ახლა საქმის მდგომარეობა მეტადრე ქიმიური საქონლის წარმოებაში. ქიმიის მეცნიერულათ ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს, ძვირფას მაშინების ასამუშავებლათ და იმ მრავალ ოპერაციების გასაძღოლათ, რომელთა საშუალებით მზადდება მრავალგვარი საქონელი. ამ შემთხვევაში შრომა არჩეულ მომუშავეთა ლაბორატორიაში აძლევს მსვლელობას მთელ დაწესებულებას. ინდუსტრიის კორცენტრაციასთან და ქარხნების რიცხვის ზრდასთან ერთათ უნდა იმატოს რასაკვირველია ღირექციის შრომამაც: მათ ახალი ფუნქციები ებადებათ. ყოველ ინდუსტრიაში ცდილობენ; რომ ნაქრზე მომუშავეთა ქირა უდრიდეს იმავე საქონელზე მომუშავე დღიურ მუშათა ქირას. ციფრები შესახებ ხელფასისა, რომელიც დაუხარჯავს საერთოთ ყველა ინდუსტრიას 1890 წელს გვიჩვენებენ, რომ ყოველგვარ კატეგორიის მა-



მაკაც მუშებს დღის განმავლობაში მიუღიათ 498 დოლარამდე, ხოლო იმავე წელს ნაჭრათ მომუშავეთ მიუღიათ 500 დოლარამდე. საშუალო ქირა დღიურათ მომუშავე ქალებისა: იყო 276 დოლარი, ხოლო ნაჭრათ მომუშავეებისა 255.—16% მუშა ხალხისა ეკუთვნის ამ კატეგორიის მუშებს, ხოლო აქედან ერთი პროცენტი მოდის დღიურ მუშაზე. ნაჭრათ მუშაობენ მომეტებულ ნაწილათ უფრო ტანისამოსის წარმოებაში და ამავე წარმოების ზოგიერთ დარგებში ნაჭრათ მომუშავეთა რიცხვი ქარბობს დღიურ მომუშავეთა რაოდენობას. ხშირათ ხდება რომ მწარმოებელი სამუშაოს აძლევს რამდენსამე თავისუფალ მუშას; ეს უკანასკნელი თავის მხრით აძლევს ამ სამუშაოს ნაჭრათ სხვებს. რიცხვს ასახელებდნენ 145.640-დღე, ხოლო დღიურ მომუშავეთ 159.392-დღე. მაგრამ ამ ქამათ ამ რიცხვს უნდა ცოტადნათ ემატნა მომეტებული რიცხვი მექანიკურ ინდუსტრიის და მანუფაქტურის მუშებისა იყოფა ორ სხვა და სხვა კატეგორიათ. მომზადებული მუშები და უბრალო მომუშავენი. ორივე სქესის ბავშვებითურთ საშუალო რიცხვი უბრალო მუშებისა, რომლებიც მუშაობდნენ ხე-ნებულ ინდუსტრიაში 1890 წელს 3.492.029 იყო. იღებდნენ 1.590.516.997 დოლარს საერთოთ. ე. ი, 74% მთლათ მუშათა რიცხვისა და 70% მთლათ სამუშაო ფასის ჯამისა. მამაკაცი იყო 2.881,795, მათ ხელ ფასი 1.436.432.387 დოლარი: ქალები ითვლებოდა 505.712; და მათი ხელ ფასი იყო 139.239.719 დოლარი. და ბოლოს, 104,522 ბავშვი იღებდა საერთოთ 14.704.891 დოლარს. გარდა ამისა თითქმის ყველა დარგის წარმოების დიდი ინდუსტრიის განვითარება იწვევს შრომის კონცენტრაციას დიდ ქარხნებში. მაშინების შემოდება და მუშების დახელოვნება ძლიერ მოუმატეს წარმოებას და დაწიეს ხარჯი ყოველ საწარმოო დარგში. კონკურენციამ გამოიწვია საქიროება უფრო გაფართოვდეს და გაიფედეს წარმოება. ვრცელი ინდუსტრიაში შესაძლებელია სავსებით დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნილებები სამუშაოს ნაჭრობით გაცემით.

ამავე დროს ფაბრიკებში მომუშავენი უფრო ნაკლებს მუშაობენ და უკეთეს წრეშიაც არიან. ამასთანავე ნაჭრათ მომუშავენი ფაბრიკებში ისე მალე გაუხსნორდნენ დღიურათ მომუშავეებს, რომ ინდუსტრიათა საზოგადო ანგარიშში არ არის საჭირო რომ რამე ვარჩევა იყოს ამ ორ კატეგორიის მომუშავეთა შორის. მაინცა და მაინც უკანასკნელი კატეგორიის მუშები უმეტესობას წარმოადგენენ და მხოლოთ მათი სამუშაო ფასი გვაძლევს ნამდვილ კრიტერიუმს რეალური ხელ-ფასის გამოსარკვევათ. და ამ გვართ 1890 წელს, წლიური საშუალო ხელ-ფასი ამ კატეგორიის მამაკაცთათვის იყო 498 დოლარი. ქალებისათვის 276; — ბავშვებისათვის 141 დოლარი. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოთ 16 წელს ქალაქის შესახებ ცნობებს, რომელთა მცხოვრებლების რიცხვი არის არა ნაკლებ 20 ათასისა, და ვინახავთ რომ, კაცები იღებდნენ ორთაშვა 567,54, დოლარს ქალები 291,80 და ბავშვები 152,23. ქალაქ გარეთა ადგილებში კაცები იღებდნენ 401,34, ქალები 239,88 და ბავშვები 120,87. საშუალო ხელ-ფასი ყველა შეერთებულ შტატებში, ქალაქებში მეტია ვიდრე სოფლის ოლქებში. მიზეზები ამისი მრავალია, რომელთაგან უპირველესი ის არის, რომ სხვა და სხვა ადგილას ცხოვრება მეტ-ნაკლები ჯდება.

სამრევლო სკოლების ძველი და ახალი გეგმა.

(გაზ. „ივერიდან“ № 172).

1. ძველი გეგმა შესდგა 1885 წელში; ახალი გეგმა წარსულს წელში, თექვსმეტის წლის შემდეგ.
2. ძველის გეგმის შემდგენელი იყო საქართველოს ექ-

სარხოსი პავლე; ახლის გეგმისა დეკანოზი ვოსტოროვი უმათავრესათ.

3. ძველი გეგმა შესდგა იმ დროს, როდესაც რუსეთში ორის წლის კურსი იყო დაწესებული სამრევლო სკოლებში. თვის, ჩვენის ქვეყნისათვის-კი დაიღო სამი წლის კურსი, რადგანაც უამისოთ რუსული ენის შესწავლა შეუძლებელი იყო. ახალი გეგმა შესდგა იმ დროს, როდესაც რუსეთში სამრევლო სკოლებისათვის შემოდებულია სამის წლის კურსი, რადგანაც გამოცდილებამ ცხად ყო უსაკმარისობა ორის წლის კურსისა; ჩვენში დაიღო ახლა ოთხის წლის კურსი ამავე მიზეზის გამო.

4. ძველი გეგმა მთავარ სავსათ სთვლიდა ჩვენებურს სკოლებში ქართულს ენას, რომელზედაც სწარმოებდა მთელი სწავლა ყველა სავსებისა სამისავე წლის განმავლობაში; თვით რუსული ენა ისწავლებოდა ქართველის ენის შემწეობით. გარდა ამისა, ქართულს ენას, როგორც საგანს, ნარგუნები ქონდა ორი გაკვეთილი დღეში, ანუ თორმეტი გაკვეთილი კვირაში თვითოველს განყოფილებაში; ახალი გეგმა მთავარ სავსათ სთვ ღის რუსულს ენას, რომელზედაც უნდა იწარმოვოს მთელმა სწავლამ, გარდა საღმრთო სჯულისა, რომელიც სამს წელიწადს ისწავლება ქართულს ენაზე და მეოთხე წელს რუსულს ენაზე იმეორებენ. თვითონ სწავლება რუსულის ენისა პირველს წელიწადს წარმოებს მუნჯურის მეთოდით. გარდა ამისა ამ ენას დათმობილი აქვს ერთი ორათ მეტი გაკვეთილი, ვიდრე წინათ ქონდა. სამაგიეროთ ძლიერ შემცირებულია მნიშვნელობა ქართულის ენისა ახალს გეგმაში. თორმეტის გაკვეთილის ნაცვლათ პირველს განყოფილებაში ექვსი გაკვეთილი ურგუნებიათ დედა-ენისათვის, მეორეში — სამი, მესამეში — ორი, და მეოთხეში კი სრულიათ მოსწავლით ქართულის ენის სწავლება. გარდა ამისა პირველს წელიწადს თვით რუსულის ენის სწავლებაში უარყოფილია ქართულის ენის ხმარება.

5. ძველი გეგმა მხოლოთ ორს ტვირთს კიდებდა სამრევლო სკოლასა; ქართულისა და რუსულის ენისა და წიგნის სწავლებასა. ხუცური და სლავიანური სრულიათ გამოდევნილი იყო. ახლის გეგმით კი ეს ორი ენაც არის შეტანილი სკოლის კურსში, და, მაშასადამე, ოთხი ენა და ოთხგვარი წერა-კითხვა უნდა ისწავლონ ნორჩმა ბავშვებმა.

6. ძველი გეგმა ყველას სკოლებს ადმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოს რაიონს ქართულ სკოლებათ და ერთი გეგმა იყო ყველასათვის სავალდებულო; ახალი გეგმა ქართულ სკოლებათ ადარა სთვლის არც სსმეგრელოს სკოლებსა, არც სვანეთისა და უკრძლავს აქ ქართულის ენის სწავლებას. თვით იმ სკოლებს შუაგულის საქართველოსას, სადაც ქართველ ბავშვებთან ერთათ სწავლობენ, სრულიად გაქართველებულნი შვილები სომხებისა, ოსებისა და ებრაელებისა, ახალი გეგმა ქართულ სკოლებათ არ რაცხს, თუნდა ყველა მოსწავლეებმა ქართულის ენის მეტი არ იცოდნენ რა.

7. ძველი გეგმა ჩვენებურ სამრევლო სკოლას ავალეზდა არა მარტო ქართულის წერა-კითხვის სწავლებასა, არამედ განვითარებასა და ცოდნის შეძენასა დედა-ენის საშუალებით; ახალი გეგმა სრულიათ უარ ყოფს ამ უკანასკნელს მნიშვნელობას ქართულის ენისასა. უარ ყოფს ბავშვების განვითარებას და ცოდნის შეძენას დედა-ენის შემწეობით და ამ საგანს საზღვრავს უბრალო წერა კითხვის შესწავლითა, იმდენათ, რამდენიც საჭიროა მოკითხვის ბარათის მიწერისათვის.

8. ძველი გეგმა ქართულ სახელმძღვანელოებიდან მოითხოვდა მდიდარს შინაარსს, რომელსაც უნდა ცოდნა და განვითარება მიენიჭებინა ბავშვებისათვის; ახალი გეგმა კი შინაარსიან სახელმძღვანელოებს უარ ყოფს და უბრალო ანბანის ამარა სტოვებს სკოლებს. განვითარება და ცოდნა უნდა

რუსულმა სახელმძღვანელოებმა შესძინონ ბაშვებსაო და არა ქართულმაო, ნათქვამია ახალს გვეგმაში.

სამშობლოს ცახე.

„ივერიის“ ბარტყეა. საშინელ სიმაღლიდან! გაიზარა ლაზარაჟი. ცეცხლსა და წყალშუა.

„ივერია“ ზამთარში კრუსუნებდა, გაზაფხულზე მოკრუსხდა და ამ ზაფხულს კი იბარტყა. სამი ლაყი კვერცხიდან მან გამოუშვა სამი ერთი მეორეზე მიყოლებული ბარტყი. პირველი—ინია გარეველი, მეორე—ულეველი და მესამე კი ქსნის პირელი. პირველმა დეზინფექცია უყო საქართველოს და განათავისუფლა ხოლერის... ე. ი. სომხებისაგან, მეორემ ულეველმა და უშრეტელმა წყარომ ცხოვრებისამ კისრამდე წატოპა ოლეში და ევროპიელ ცნობილ ეკონომისტს სულ ტყავი ააძრო: „აი რა აზრი გამოვიტანეთ ჩვენ ხსენებულ მწერლის დრმა თხუზულებიდან და გვიკვირს რათ ეძახდა თავის სოციალურ თეორიას ეკონომიურ თეორიას; უმჯობესი იყო დაერქნია თეორია ორგანიზაციის ერთობისა სოციალურ მოვლენათა შორისა“ წრიბინებს დაღეულ კვერცხიდან გამოჩეკილი ულეველი საწყალი ეკონომისტი შემცდარა მხოლოდ თავისი თხუზულების სათაურში, რაც შეეხება აზრს, რომელიც ულეველს იქიდან გამოუტანია ეს კი წინეთვე დებულა „ივერიის“ ზანდუკშია. თურმე, როგორც ეკონომისტის აზრი, ისე ულეველისა და „ივერიისა“ ერთი და იგივე ყოფილა. თურმე ცნობილი ეკონომისტი „ივერისტი“ ყოფილა და რასაკვირველია სომხების მტერიც. აი ვინ მოიხხრო „ივერია“ ულეველის ბაგით, აი ვის დებდაუჯა უკბილო ღრძილებით ჩვენი უმზითვო პატარძლი, რომ როგორმე გაამართლოს თავისი მუცლის ტკივილი, რომელიც არ დაუცხრება მას ვიდრე სომხები არ წავლენ საქართველოდან და ქანქურქიშმის არ დაუტოვებენ „ივერიას“!

ჰაი, თუ შესჯამს კნაზი!

რაც შეეხება მესამეს ე. ი. ქსნის პირელს, მისი ბაგით, როგორც მისივე სახელ წოდება ღალადებს გველაპარაკება არამცთუ ხმელეთი არამედ, ზღვა, ოკეანე და ქსანიც კი! მის „უსუსურ ლიბერალიზაში“ (იხ. ივერ. № 170) „ივერია“ თავის შუბლსავე დაეტაკა. თურმე როგორც მოგვითხრობს ქსნის პირელი „იყო დრო და ეს დრო არც შორეულია... როცა „ივერია“ ძმობისა და ერთობის საქიროებას ქადაგებდა“ მაგრამ შემცდარა მაშინ „ივერია“, საქირო არა ყოფილა მაშინდელი მისი „ქადაგება ძმობა ერთობაზე“. ვინაიდან პატივცემული წყლისპირელის აზრით „მეტეც არის რომ ქართველ ხალხს უქადაგო ძმობა და ერთობა იქონიე მეზობლებთანაო“ როგორც ხედავთ „ივერიას“ სულ ტყუილათ უჭრიალებია ცარიელი წისქვილის ქვები; წარსული „ივერია“ გადათელა ახლანდელმა, „შემცდარობა“ უკიჟინა „ივერია“ „ივერიასავე“, „ივერია“ დაეტაკა „ივერიასვე“ და როდესაც კაცი რაგვარი აგებულებისა უნდა იყოს ის უარ ყოფს თავის თავს, განა საკვირველია უარყოს ძმობა და ერთობა ვისთანმე?!

* *

თუ ვისმე მუჯღუფუნით აუყვანიხართ თქვენ საშინელ სიმაღლეზე, რათა იქიდან თქვენი გვაში დაანახვოს ძირს დანარჩენ მომაკვდავთ, გამოსციდით რა ძნელია და რა თავბრუ დამსხმელი ის უფსკრული, რომელსაც თქვენი ფეხი მოაშორეს და გაგაქანეს არწივის სიერცეში. იმ დროს, როდესაც ბელურას საფრენზედაც კი თვალეზი გიბნელდებოთ. ასეთი სამსახური გაუწია ერთმა კრიტიკოსმა ერთს ჩვენს ბელეტრისტს; ბელურას არწივის ფრთები მოაბა და საწყალი ჩიტუნია გადარია ერთიან, რაღა გავამტყუნოთ ის დათვი რომელმაც თავის მეგობარს მეგობრულის სამსახური სასუფველი უჩვენა.

ზღაპარი, რომ არ წავგინდეს წავაკითხებთ—აქ სიტყვიდან სიტყვამდე ერთს ეტიუდს, რომელიც მოთავსებული იყო „მოამბის“ ამ წლის მეექვსე ნომერში:

„ეებს, მებთვე?...“ **ეროვნული მიზლიროთქვა**
(ლექი ურიომოთ)

...ეებს, მეტივე, რატომ ხმას არ გაიკმენდ და ყურს არ დაუგდებ მტკვრის აღზნებულ სიყვარულის ხმას, მის ალტაობულ აღერსს?... განა არ გესმის, რა სიყვარულით ეამბობება თავის კიდეთა, თავის კალაპოტს; ან კიდევ განა ვერ ჰხედავ მის ხმაზე, რა სიამოვნებით ქედს ჰხრინ მთები, ხეები და ბალახობა!.. და იგაც მათ დახრილ სახეს რა თავ-დავიწყებით აფრქვევს თვის მკერდიდან ამონადულ სიხარულის ცრემლებს!..

„...დუდუ... დუდუ... დუდუ... დუდუ...“

გაიგონე, მისი ტკბილი, ნეტარი აღერსი მშობელთან!..

...ახხ, არა მოჩანს-რა?! ცა მოქუშულა. არსათ ვარსკვლავი. შავსა სუდარას შეუმოსივართ!..“

თუ თვალი შენი, ჩემო მეტივე, დახშობილია, ყური ხომა გაქვს და...“

„...ხახახა... ხახახა... ხახახა!..“

აგერ, ხარხარებს ტკვარი!.. მტერს შევბრძოლა.. მის მშობლის მკერდსა რაღაც მექეპი, ხორც მეტი დაჰკონებია!.. ბრძოლა!.. იბრძვის!.. ხარხარით.. სიცილით მტერსა შეება! მშობლის მტერთან ბრძოლა მისთვის მეჯლიში ყოფილა!..

„...ხაა დუდუ... დუდუ... დუდუ!..“

ისევ დატკბა, დამშვიდდა, რაკი მტერს ჰსძლია... წინ გაიგდო...“

ნუ თუ ყურიც თვალესავით დახშობილი გაქვს, რომ ხმას არა სწყვეტ?!

ანკი რად გინდა თვალი, ყური, როდესაც ჰაერი, არემარე გაუღენთილია ამ დიდებული გრძნობით, და შენ შიგ დაჰსცურავ... აგერ, ტივის ხეებ შუადგან, როგორ ამოჰჩქეფს, რომ შენი ფეხი წმინდად წაჰრეცხოს!.. რა აღზნებით გელერსება!..

არც ამას ჰგრძნობ?!.

„... ჩვენი ცხოვრება, წუთის ცხოვრება... და ააახხ, ქარი დაჰბერავს, ყვავილსა მოჰგლეჯს და სად მიჰმაღავს, ეს...“

ეებს, მეტივე, ხმა გაკმინდე!.. ორაყვირსაც ხელი უშვი და სიყვარულით მჩქეფარე გულს ნუ ჰსერავ!... იგრძენ!.. გაააჟმდი!.. გაააჟმდი!..

ეებს, მეტივე!..

შ. არაგვისპირელი.

„ეებს“ ძამია, არაგვისპირელი! დაწერვა ყველაფრისა შეიძლება „დუდუსიც“ და „ხახახახისიც“, მეტადრე თუ გეცინებათ, მაგრამ დაბეჭვდა კი აღკრძალულია საღის გონების და მკითხველების პატივისცემის ძალით. ამიტომ სთხოვეთ ვისაც ჯერ არს ჩამოგიყვანოთ მაგ საშინელ სიმაღლიდან.

* *

როგორც ჯარმა და ჯამათმა, ამიერ და იმიერ საქართველომ შეიტყო ქართველ ექიმებს ერთი მართლაც კარგი საქმე განუზრახავთ: დაარსონ ქართველ ექიმთა ამხანაგობა. კარგი და პატიოსანი, დაარსონ. მაგრამ ამ დაარსებას უპირველესათ არსებითი გამოკვლევა და გამოჩხრეკა სჭირია, ამიტომ ალაღო რა ბაგე ბ-მა ტურიაშვილმა ჩვენ გვეგონა აატაკებდენ ენას დანარჩენი მისნი მეგობარნიც, რომ სანთელი საქმესთან მიეტანათ, მაგრამ ამის მაგიერ მათ სანთელიც დაავიწყდათ, ხატიცა და საკმელიც. ისენი ჯერ იმის გამოკვლევას შეუდგენ რომელი მათგანია არხიმედი და რომელმა დაიძახა „ივერია!“—აღმოვაჩინეო. ბ-ნი მაღალიშვილი შეეცილა ბ-ნ

ტურიაშვილს, ტურიაშვილი მაღალაშვილს და ორივემ ერთთა ააყენეს კორიანტელი გაზეთის ფურცლებზე, ვის მოუვიდა პირველათ აზრი თავში მაღალაშვილს თუ ტურიაშვილს. და იმ დროს როდესაც ისენი თავის აზროვნების წინა და უკანა ოქმის ისტორიას იკვლევდნენ საქმე, ნამდვილი საქმე კი ამ ლაპარაკში გაიპარა, გაიპარა ისე, რომ არ ვიცით ჩვენი ესკულაპები იპოვიან-ლა მას თუ არა თვით რენტდგენის სხივებიც რომ მოიხმარონ.

* *

ქართველ ექიმებს თუ საქმე სიტყვებშია გეგმარათ, ოზურგეთის მოურავს თვითონ გადაუგდია სანაგვეზე ერთი საქმე, რომელიც მისთვის თურმე უსაქმობას ნიშნავს. ეს საქმე იქაურ ნოქრების თხოვნაა, კვირა უქმე დღეს ღუქების დაკეტვის შესახებ. ბ-ნ ცეცხლაძეს არ ჩაუგდია ნოქრები ანგარიშში, არ უცენია რუსეთის ქვეშევდომებათ, რომელთაც, როგორც ღანარჩენ მომავლავებს ასე თუ ისე, კანონი აყენებს რამეგანსაზღვრულ ფარგლებში. ცეცხლაძის აზრით ნოქრების შესახებ კანონი არ არსებობს საქალაქო დებულებაში, ვინაიდან იქ არა ყოფილა ნათქვამი, რომ ოდესმე ოზურგეთელი ნოქრები ბ-ნ ცეცხლაძეს მიართმევდნენ თხოვნას და მოაგონებდნენ, რომ თვით ყოველათ შემძლებელმაც კი დაისვენა მეშიდღე დღეს. ნუ, ნუ, ბ-ნო ცეცხლაძე, ნუ მისცემთ ცეცხლს, ნუ გაატანთ წყალს იმ მცირე რამეს მაინც რომელსაც აძლევს კანონი წყალსა და ცეცხლსა შუა მოტანებულ ნოქრებს. ჩაიხედეთ კარაბადიში!

* *

ქუთაისში თურმე ისე არ დაიჭყვივლებს გოჭი, რომ ქალაქის ბაზარნიკი დანით არ წაადგეს თავზე მართალია შეიძლება მისი ჭყვიელი იქაურ ქალაქის მამებს ძილს უფრთხობდეს, მაგრამ ღრადანინებს კი მოსწონთ მისი გემრიელი ხორცი, ხოლო არ მოსწონთ თვით გლეხებს, გოჭის მომყვანს ის სიმწარე რა სიმწარითაც ბაზარნიკი აძრობს მათ თვითო ჭყვიელზე რამდენსამე შაურს. ეს შაურები გოჭს ქალაქ გარედან შემოაქვს ზურგზე აკიდებული და თუ მამები ამისთანა ხაზინადრის ფულს კადრულობენ, რაღატომ არ კადრულობენ იმ ადგილების მოვლასაც საიდანაც ამ გოჭებს უხიფათოთ შეეძლოთ შემოსვლა ქალაქში. საქმე იმაში გახლამთ რომ ქუთაისის თავისი განაპირა ადგილები ავსტრალიას ქარტაზე გადაუტანია და თუძკა მისი ტალახი კარგათ სწვდება ამ მანძილსაც მაგრამ ეს მისთვის არა ღონდება, თავს არ იტკივებს. ეს განაპირა ადგილები თავსაფარი ყოველ გვარ თავზე ხელ ადებული ძმა ბიჭებისა, არსენალი თოფზარბაზნებისა, მონოპოლია ყანწ აზარფეშებისა ისე აძრწუნებენ თურმე ყოველს მშვიდობიან მკვიდრს, რომ არამც თუ ღამე დღეც კი „კანვოია“ საჭირო, რომ უშიშრათ მიახწიოთ დანიშნულ ადგილს. სჩანს ქუთაისის მზრუნველებს ჭყვიელი მოსწონთ, ხოლო ქუთაისის გარეთა უბნები კი არ ეპრიანებათ!

* *

„ივერიის“ პლებსი ისე არ წაიბორძიკებს, რომ „კვალს“ ცხვირი არ წააგალოს, არ აუარ ჩამოუაროს მას და არ ჩაუხველოს ხრინწიანი ხმით; ასე მოიქცა ის წარსულ კვირასაც „ივერ.“ № 173-ში. თავისი „მასლაათი სამეურნეო ციებ ცხელების გამო“ დაიწყო „კვალიდამ“ თუმცა აქ „კვალი“ არაფერს შუაში მოსატანი არ იყო, ჩვენ კარგათ ვიცით რომ პლებსს დიდი ხანი სჭირს ერთგვარი „ციებ ცხელება, რომელიც საცა არა ჰქაფა იქ აფხანინებს ქეჩოს, რომელიც, არტალაც რომ ედვას პირში, მაინც „კვალისათვის“ აკრაქუნებინებს მას კბილებს, მაგრამ იმ დროს როდესაც ეს ქურმი იჩოქებდა თვის სათაყვანებელ ხატის წინ არ გვეგონა თუ ანგელოზებს ძილს დაუფრთხობდა და მათთან ეშმაკს ახსენებდა. არ გვეგო-

ნა მაგრამ ასე კი მოიქცა პლებსი. ასენა „კვალი“ და დაიწყო ლოცვა რომლიდამაც ამოეწერ მე რამდენსამე პწკარს ჩვენი მკითხველებისთვის, დეე მათაც გადაიწერეთ პლებსის ერთთა პირგვარი: „ჩვენმა მედროშე (დაიხატეთ) [ხედავს ხედავს ხედავს] არ უნდა დაივიწყოს, რომ აწინდელ დროს—წოდებრივი თავკერძობა თითონ თავად-აზნაურობას აზარალებს, ვინაიდან თვითუფ წოდების სხსა და შველა ერთობასა და ქიობაშია... ნეტა შეგვატყობინა, რომელ წოდებასთან უნდა რომ დააძმობილოს „მედროშე თავად-აზნაურობა“ „ივერიის“ პლებსმა.

თავად-აზნაურობა ბედოვლათია, ჰყიდის მამულს, ფლანგავს ფულს, ლატაკდება... განაგრძობს პლებსი და დასძენს, რომ „გიკვირს და გიფცდება თუ რამ დაუხნია თავად-აზნაურობას, ასე თავ-გზა, რომ ვერა ხედავს თუ რა უფსკრულისკენ მიეშურება...“, ვაი მენს მედროშეს! კარგია, სწორეთ კარგი. მედროშე, რომელსაც უფსკრულისაკენ მიყევხარ! დაგვილოცნია გზა ბ-ნო, პლებსო, მაგისთანა მედროშეს შეგიძლიანთ თქვენვე მიჰყვით იქით საითაც კი დიდი უფსკრული გეგულდებათ. „პლებსი“ თუ უფსკრულისაკენ მიდის „დროშით ხელში“ ცნობის უფრცლის“ „კალამი“ ტიპიკონით მიეჭარება თფილისის ქალაქის არჩევნებზე ეხვეწებათ ემუდარებათ, ელაღდებათ სომხებს მისცენ ქართველებს „იმდენი ხმოსნები, რამდენიც რიცხვით ჩვენ (ქართველები) ვართ თფილისში“. ვინ ვინ ბ-ნო კალამო, ვინ უნდა გაიუქოს ეგ ხმოსნები? ნუ თუ არ იცით რომ წავიდა ის დრო, როდესაც მოსემ შესთხოვა და ებრაელებს ხაჭაპურები ჩამოუცივდათ ციდან!

რიგოლეშო.

ქურნალ-გასეთებიდან.

„ცნობის ფურცელი“ № 1897. ბ. კალამი. „ჩვენი ზნეობრივი უფლება ისაა, რომ იმდენი ხმოსნები მოგვცენ, რამდენიც რიცხვით ჩვენ ვართ თფილისში (და არა იმდენი ხმოსნები, რამდენის ქონებაც გვაქვს), ჩვენი ისტორიული უფლება ის არის, რომ თფილისი ჩვენის სისხლით დაგვიცავს და სამსახური მიგვიძღვის ამ ქალაქის და ქალაქელების წინაშე. ჩვენ შეგვიძლია, ყოველთვის მივმართოთ სომხების ზნეობას, მოვთხოვოთ სამართლიანობა და არა მარტო კანონიერება, მაგრამ ამით მანდა მაინც ვერაფერს შევიძენთ დღეს. დღეს ჩვენი ძალა—ჩვენი განმრავლებაა თფილისში და ეკონომიურათ გაღონიერება. მაშინ სომხები პატივს სცემენ ჩვენს უფლებას და ჩვენც გულნატკენიც არ ვიქნებით მათზე“.

კარგათ ბრძანებს ბ. კალამი. ემუდაროთ სომხებს, გავახსენოთ მათ ჩვენი ძველი მეგობრობა და ისიც, „რომ თფილისი ჩვენი სისხლით დაგვიცავს და სამსახური მიგვიძღვის... შევებრალოთ თავი. „მოვთხოვოთ სამართლიანობა და არა მარტო კანონიერება“ და ბ. კალამის ლოცვით და კურთხევით მოგვენიჭება ქალაქის თვითმმართველობაში პროპორციონალური წარმომადგენლობა. თუ შევიცარიის ზოგიერთ კანტონებში განხორციელდა ეს იდეალი პარტიათა ბრძოლის შედეგით, თფილისში კი (კალამის აზრით) ამ იდეალს მივალწვეთ სომხების წინაშე კალამისებური ვედრებით. მაგრამ „დღეს“ ჩვენთვის საჭიროა აგრეთვე (ბრძნულათ შენიშნავს ბ. კალამი) „ჩვენი გამრავლება (აბა ვეცადოთ, ბ. კალამო) და ეკონომიურათ გაღონიერება“ (დაიხ, ბ. კალამო, გავამრავლოთ და გავაძლიეროთ ქართველი ბურჟუები).

* *

„ივერია“ № 173. Plebs.
ბ. Plebs-ი plebs-ია თუ არა? მისი „მასლაათი“ ამ კითხვაზე „კი“საც გვეუბნება და „არა“საც. პირველი ოთხი

სტრიქონი ამტკიცებს, რომ ის ნამდვილი plebs-ია. აი ეს ოთხი სტრიქონი:

„თუ ახირებულს და თავისებურ „კვალს“ სათვალავში არ ჩავადგებთ, ქართული ლიტერატურას ზრუნვა და ყურადღება არასოდეს არ მოუკლია სასოფლო მეურნეობისთვის.“

ასეთი სიცრუის ბრძანება შეუძლია მხოლოდ ახირებულ და თავისებურ Plebs-ს და ასეთ პუბლიცისტს უნდა ეწოდოს ლიტერატურაში გონებით plebs-ი. „კვალის“ მკითხველმა კარგათ იცის „ივერია“ თუ „კვალის“ აქცევდა მეტ ყურადღებას აგრარულ კითხვებს. მაგრამ, რადგან აგრარულ კითხვებში ჩვენ ვაქცევდით ყურადღებას არა მარტო თავადაზნაურობის ინტერესს, ამიტომ ბ. plebs-ი „კვალს“ „სათვალავში არ ავდებს“.

„მასლათის“ ავტორი ლიტერატურაში plebs-ობს, ამბობს.

„უწინაესკს ეფუძისა სსჭირთა, რამ მამული შეჩქეს თავადაზნაურობას, თორემ, თუ მამული გამოეცლება და ცუდიერზეთ დაჯდება, მაშინ სამეურნეო რეფორმა რა დას უშველის, მაშინ რა ჯანაბათ უნდა ირიდაცია და ჰაერში სასროლი არტილერია!“

როგორც ხედავთ ბ. plebs სასოფლო მეურნეობა აინტერესებს. მხოლოდ იმდენათ, რამდენათ ეს შეეხება თუ კი თავადაზნაურობას მამული არ შერჩება, მაშინ „სამეურნეო რეფორმა“ რა საჭიროა, მაშინ რა ჯანაბათ უნდა ირიდაცია... ასე ბრძანებს ჩვენი პატრიოტი... უკაცრავათ... plebs. plebs-ისთვის ქართველი ხალხის, გლეხობის მეურნეობა არ არსებობს. აი ასეთ პროგრამაზე ბრძანებს ბ. plebs:

„რაც უნდა სთქვან, „ივერია“ თავის დრომას არ უღალატებს და ყველასათვის ერთნაირათ იზრუნავს“.

სოციოლოგიური ეტიუდებიდან.

I.

„ევოლიუცია არის მატერიის ინტეგრაცია, რომელსაც თან მოჰყვება მოძრაობის გაფანტვა, რომლის განმავლობაში მატერია განუსაზღვრელ, შეუკავშირებელ ერთფერთეანებისაგან განსაზღვრულ, შეკავშირებულ მრავალფეროვანებათ იქცევა, და რომლის განმავლობაშიდაც აგრეთვე შეჩერებული მოძრაობა ექვემდებარება ანალოგიურ გარდაქმნათ.“¹⁾ ევ ფორმულა გამოხატავს კოსმიური პროცესის პრინციპს, კოსმიურ მოვლენათა ერთობას. ცვლილება ერთ სფეროში იწვევს ცვლილებას ერთეულის ყველა ნაწილებში; ერთეულის ინტეგრაციას თან მოჰყვება შინაგანი დიფერენციაცია, ე. ი., სხვა და სხვაობის წარმოშობა, როგორც აუცილებელი პირობა ნაწილების ურთიერთშორის მჭიდროდ შეკავშირებისა. ამაში მდგომარეობს ინტეგრაცია და თვით ევოლუციაც. კაცობრიობის წარმოშობა საერთო დიფერენციაციის ერთი კერძო შემთხვევათაგანია; ევ დიფერენციაცია შედეგია ჩვენი პაწია პლანეტის მიწის—ინტეგრაციისა, ისე როგორც ჩვენი მზის სისტემა შედეგია მხოლოდ ინტეგრაციის და დიფერენციაციის ნისლიან მასისა (туманной массы). საკმარისია გავიხსენოთ ეს კოსმაური პროცესი და ცხოველთა და მცენარეთა წარმოშობა რომ თავადან ავიცილოთ ყოველი ილლიუზია კაცობრიობის შესახებ, ის ილლიუზია, რომელსაც დარვინმა სამუდამოთ ბოლო მოუღო. მეცნიერების წინაშე აღამიანი მსოფლიო ევოლიუციის ისეთივე ნაყოფია, როგორც ქვა, ხე, მიწა ან სინათლე. ყოველივე ცვლილება (როგორც თვით წარმოშობა) აღამიანის სხეულში სრულ იათ განსაზღვრულია; ფსიხიური

მოვლენა კი დამოკიდებულია ორგანიზმის საერთო პირობებზე დას. ამნაირ შეხედულებას ეთანხმება Mayer-ისა და Helmholtz-ის მიერ დამტკიცებული კანონი—ენერჯის მუდმივობის და ლაუაზიესი მატერიის მუდმივობისა. ამ შეურყვეველ ფაქტიდან ის ლოლიკური დასკვნა გამოდის, რომ ყოველი მოძრაობა აღამიანისა დამოკიდებულია კოსმიური პროცესის მეხანიკურ კანონებიდან; ეს უკანასკნელი უარს ყოფს პიროვნების ინდივიდუალისტურ დამოკიდებულებას (თავისუფალი განგება). ევოლიუციის თეორიის ლოლიკის ძალით მიეყვებათ ინდივიდუალისტურ თავისუფლების, „თავისუფალი ნების“ უარის ყოფამდის; ეს თეორია (ევოლიუცია) უარს ყოფს ყველა იმ მოძღვრებას, რომელიც „ნების თავისუფლებაზე“ და ინდივიდუალიზმზეა დამყარებული, ამნაირათ ევოლიუციის პრინციპი ეწინააღმდეგება თვით სენსერის აზრს ინდივიდზე²⁾ ინდივიდს, როგორც მხოლოდ ერთ რგოლს მსოფლიო ევოლიუციის ჯაჭვისას არ შეუძლია იქნეს თავისუფალი, არ შეუძლია იქონიოს არჩევანი თავის მოქმედებაში; წარმოდგენა თავის ნებაზე მომქმედ ინდივიდისა ეწინააღმდეგება მოვლენათა კანონთანხმობით (законосообразный) პროცესს.³⁾ ინდივიდუალური თავისუფლების, „ნების თავისუფლების“ ჩაწევა მოჰყვანათა მიმდინარეობაში არღვევს, უარს ჰყოფს კანონ-თანხმობის პრინციპს და შეუძლებელ ჰყოფს მოვლენათა მეცნიერულ კვლევას ე. ი. შეუძლებლათ სდის თვით მეცნიერების ასუბეხას „ნების თავისუფლება“ და მეცნიერება ერთათ მოუთავსებელია. ან მეცნიერება ან „ნების თავისუფლება“.

ამ საკითხის გადაჭრა არც ისი ძნელია, როგორც პირველათ სიცოცხლე იგივე ქიმიურ და ფიზიკურ პრინციპზეა დამყარებული; იგავე ასსიმილიაციაა მისი პრინციპი; ქიმიის (ბიო-ქიმიის) შემწეობით ლამის ბიოლოგებმა ცხადათ დაგვანახონ თუ როგორ გაჩნდა სიცოცხლე. სიცოცხლის ფენომენებში მეცნიერება ნათლად გვიჩვენებს დეტერმინიზმს—განსაძღრულებას. ეს ფენომენები (მოვლენანი) ერთანად ემორჩილება ან იმივე ფიზიკო-ქიმიურ კანონებს, კანონ-თანხმობით პრინციპს. აგრეთვე საზოგადოებრივი მეცნიერების მრავალ დარგში დაკვირვებამ და გამოკვლევამ მიაღწია ისეთ სინამდვილემდის, რომ ჩვენ უკვე მრავალი მტკიცეთ განსაზღვრული კანონები გვაქვს; ვხედავთ ერთ და იმავე ფენომენთა განმეორებას და ზოგიერთ შემთხვევაში შეგვიძლია კიდევ ვიწინასწარმეტყველოთ. სტატისტიკა იძლევა საოცარ მაგალითებს მოვლენათა ერთნაირათ განმეორებისა; პოლიტიკურ ეკონომიაში ვზოულობთ მდიდარ მასალას, რომელიც ცხადათ გვითვალისწინებს მრეწველობის განვითარების მიზნითი დამოკიდებულებას და განსაზღვრულ კანონებს. ლინგისტიკა გვიხსნის ენის განვითარების კანონს და ნორჩმა სოციოლოგიამ კი სხვადასხვა სახელით არა უნაყოფოთ დაიწყო სინტეზთა შენება იმ მასალებისაგან, რომელნიც, თვითეული კერძოთ, საზოგადოებრივ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგში სინტეზს შეადგენს.

ცნობილი სოციოლოგი G. de Greef-ი ამბობს: „იმის დასამტკიცებლათ. რომ არსებობს ბუნებრივი და აუცილებელი სოციალური კანონები, ჩვენთვის საკმარისია გაჩვენოთ, რომ ჩვენი ცოდნის მდგომარეობა და მისი ევოლიუცია ექვემდებარე-

²⁾ Spencer. L'individu contre l'Etat.
³⁾ A. Hamon. Déterminisme et responsabilité. 1898. გვ. 28—32. ეს წიგნი ინგლისში აღკრძალეს!..

¹⁾ Spencer Les premiers princips. Paris. 1897, გვ. 355.



ბა უცვლელ (invariable) და აუცილებელ განწყობილებას; რომ არა ორგანიზული და ორგანიზული წრე, თავის თავით ქმნის სოციალურ წრესთან ერთად უცვლელ (invariables) და აუცილებელ განწყობილებებს. წავდეთ კიდევ ერთი ბიჯი წინ, — განავრცობს ის, — დავამტკიცოთ სხვადასხვა მაგალითებით, სოციალური კანონების არსებობა, დავამტკიცოთ რომ სოციალურ კანონთა გამოაშკარავება შეიძლება სხვადასხვა ინდუქტიური მეთოდების საშუალებით და განსაკუთრებით ექსპერიმენტაციის შემწეობით, რომელიც ზევით იყო ნაჩვენები⁴⁾. მოვიყვანოთ მაგალითად რამდენიმე მარტივი და რთული სოციალოგიური კანონები. სტატისტიკამ დაგვიმტკიცა, რომ აუცილებელი დამოკიდებულება არსებობს ამა თუ იმ ქვეყნის უკანონო შობილთა-რიცხვსა სოციალ-ეკონომიურ პირობათა შორის. რამდენათ უფრო ვითარდება თანამედროვე წარმოება, თანამედროვე კაპიტალისტური წეს-წყობილება, იმდენათ უფრო კლებულობს, შედარებით ხალხის სიმრავლესთან, აბსოლუტური რიცხვი დაბადებულთა, ხოლო, კერძოდ, უკანონო შობილთა რიცხვი კი მატულობს. ქირის (ხელ-ფასის) მომატებას მოყვება, როგორც შედეგი, შემცირება უკანონო შობილთა პროცენტისა, ხოლო ქირის დაკლებას კი მოყვება წინააღმდეგი შედეგი. სიღარიბე და ავანაკობათა შორის მუდმივი და განსაზღვრული დამოკიდებულება — საყოველთაოთ ცნობილი ფაქტია. საესტეტიკო სფერაში ჩვენ ვხედავთ ამავე კანონ-თანხმობას, რომელიც ჩვენ გვიჩვენებს მომავალში ხელოვნებას გადემოკრატებას. დღემდე ხელოვნება იყო და არის კიდევ მდიდარი კლასის ხელში; მათი მატერიალურათ უზრუნველ-ყოფილობა აუცილებელ პირობას შეადგენდა ხელოვნების განსავითარებლათ. ისტორიაში ჩვენ მუდამ ვხედავთ ხელოვნების აყვავებას თანაბრათ ამა თუ იმ ქვეყნის მატერიალურათ აღარძინებისა და ხელოვნების მსახურად, ქურუმთა ყოველთვის შეძლებული წოდება იყო. ზემოთ მოყვანილი ისტორიული ფაქტი და მაზედ აგებული სოციალოგიური კანონი საფუძველს გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ, რომ, როდესაც გაუმჯობესდება, ძირიანათ გამოიკვეთება მატერიალური და პოლიტიკური მდგომარეობა დღეს დატაკი ბრზოსი, ხელოვნება გახდება მთელი კაცობრიობის და არა ერთი მისი ნაწილის განძი, კუთვნილება. სარწმუნოებათა განვითარება და მეცნიერებათა კლასიფიკაცია გვაძლევს ჩვენ ცხად მაგალითს კანონ-თანხმობისა და მათ მტკიცედ განსაზღვრულ თანდათანობისას. ეს მაგალითები ყოველმა განვითარებულმა ადამიანმა კარგათ იცის და ამისათვის ამაზე შეჩერებას საჭიროთ არ ვრაცხთ.

სანამ ვაღვიდოდეთ რთულ სოციალოგიურ კითხვებზე, ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს — თავისმკვლელობას, რომლის შესახებ სტატისტიკამ დაგვიმტკიცა შემდეგი: არსებობს მტკიცეთ განსაზღვრული დამოკიდებულება თვითმკვლელობასა და წლის ჟამთა შორის, თვით-მკვლელობისა და სქესთა, წლოვანებისა, დღის ზოგიერთ (განსაზღვრულ) მომენტებსა და სხვა მდგომარეობათა შორის. ერთი სიტყვით, სტატისტიკური, ეკონომიური და ისტორიული კნობები გვიმტკიცებენ სოციალურ დეტერმინიზს.

დ. ო.

(შემაღვი იქნება)

რედაქციისათვის.

პასუხად სიმონ ბერეჟიანის შეკვიდრებას.
 „ივერიის“ №-ში დაბეჭდილია განსვენებული სიმონ ბერეჟიანის ქვრივის და ძმისწულის წერილი, რომლითაც იხიბი-თხოვლობის ჩვენგან ვითომ და ჩვენ მიერ უსამართლოთ მათი ნათესავის სახელის შეურაცხველობისთვის დაკმაყოფილებას: ან ბოდიშის მოხდას ან სამედატარო სამართალში გაუფას. ეფექტივე ეს მეტი რიგანია, რადგან ასეთ შემთხვევებში საუკეთესო საშუალება სწორეთ სამედატარო სამართალა, როგორც თავისუფალი ეფექტ ფორმალისმისგან და დამოუკიდებელი. ურიგაა მხალეთ მათი წერილის კილო და ის უწამწური სიტყვები, რომელითაც წერილია შემკობილი, მაგრამ ის სტუმართ მოფარე „ივერიისთვის“ მიგვანდვია შემკვიდრებს ავიწულებათ მხალეთ, რომ სიმონ ბერეჟიანთან ჩვენ სანიხადო არაფერი გვექნია, ანკი რა უნდა გვექნოდა და მისი არსებობაც მხალეთ მაშინ შევიტყუეთ, რაცა ის წერილი მივიღეთ, და თუ მის შესახები ფაქტით ვისარგებლეთ მხალეთ იმიტომ, რომ ის ტიბიურათ იყო და კორესპონდენტის ვენდობდით და ვენდობით. უნდა მოვავით ისიც რომ რედაქციას სრული ზრდილობისათ მთქურს განსვენებულს და საშუალება მიცა თავის მართლებისა, მისი წერილის სრულათ და უშეზინათ დაბეჭდვით. ეს არის ერთათ ერთი გზა მწერლობაში აღძრული კითხვის გამორკვევისა. თავის მხრით რედაქციამ არაფერი თქვა, რადგან ზირველი კორესპონდენტის ავტორისგან მოსალოდნელი იყო პასუხი, რომელსაც მართლაც არ დაუგვიანებია; მოგვივიდა კიდევ სხვა წერილიც განსვენებულის შესახებ, მაგრამ ამ დროს გავიგეთ, რომ ის ბერეჟიანის უკვე გარდაცვლილიყო და ვეღარ მოვითავსეთ სქმის გამორკვევლათ კი ბოდიშს ახა რათ მოვიხდიდით და ან ახლა როგორ მოვიხდით! სწორეთ იმიტომ რომ ახლა წერილებით სქმის გამორკვევა უხერხულათ მიგვაჩნია. ვთანხმდებით სამედატარო სამართალზე.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

შინაარსი: აქსენტი ანტონისძე ტარკელი, ი. ე—ლის. —ა. ტარკელს, ლექსი, ი. ევდოშილისა. — შინაური მიმხილვას. —სხვა-და-სხვა ამბები. —კორესპონდენტები. —საზღვარ-გარეთ. —რუსეთის ცხოვრება. —ჩემს მერცხას, ლექსი ი. ევდოშილისა. —გვიან დას, ეტიული ია ეკლასიას. —წერილი ბათმიდან, კატრისი. —სხვა-და-სხვა წარმებაში მომუშავეთა რადენობა და მათი ხელ-ფასი, რაიტისა —სამრეფლო სკოლების ძველი და ახალი გეგმა. —სამშობლოს ტაზე, რიგაღეტრისი. —ჟურნალ-გაზეთებიდან. —სოციალ-ეკონომიური ეტიუდებიდან, დ. თ—სა. —რედაქციისგან. — განცხადებანი. —

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარწლით 3 მ. 50 კ.; თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარწლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ. ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. ზოგადების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარონის ქუჩაზე, № 27. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

4) G. de Grref Les Lois Sociologiques. Paris. 1896, გვ. 99.

ქუთაისის სათავად-აზნაურთა სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსიაა I განყოფილებაში, რომელშიდაო მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიათ არ მოპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 აგვისტომდის.

თხოვნასთან ერთათ წარმოდგენილ უნდა იქნეს წლოვნების, აზნაურიშვილობის და ყვავილის აკრის მოწმობები.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 31 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს.

ფოთის საზოგადოებრივი კურსები.

კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაგზავნებათ უფასოთ.

სასწავლებელი და კანსიონი.

ა. მამულაიშვილისა.

ვერა, სლევცოვის ქუჩა, № 13. ზემელის აფთეჟის მახლობლათ.

ამხადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.). იქვე ამხადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცთა (პერეკვაშენოვკი)

გიორგი წმინდის დიდი სურათი იყიდება თფილისში წერაკითხვის საზოგადოების მალაზიაში, ქუთაისში მ. ლალიძესთან. ფასი ერთი აბაზი.

ამიბი ე. გ. ფოტოგრაფი.

იღებს შინაგან და საბაჟო სნეულებით ავთომყოფებს სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს 5—7 საათამდე.

მიხეილის პროსპექტი, № 144.

თფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

(კუეიბ, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავთომყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ღ ი თ :

გ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი — შინაგ. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.

ი. ზ. ახალქანიშვილი — კბილის სნეულებანი, 11—12.

კ. შ. ელიაშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.

ვ. შ. მანსუეტოვი — შინაგანი და ნერვულური სნეულებანი სამშაბ. და პარასკ. — 1—2.

ს. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ვ. გრ. სობოლევსკი — ქირურგ. და ორტოპედული, ორშ. ოთხშ. და პარასკ. 1—3 საათ.

გ. შ. ამბარდხაძე — სიფილისისა, კანისა და საშარდესი. 1 — ს ა ღ ა მ ო თ ი :

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.

მ. გ. იანჩევსკი — ყურის, ყელის და ცხვირის 5—6, კვირაობით 12—1.

ს. გ. მაღალაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა, მიკროკიმიური გამოველევა 5—6.

კ ვ ი რ ა ბ ი თ :

ვ. შ. მანსუეტოვი — შინ., ნერვ. და ბავშვ. 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი — შინაგან ავთომყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კოაოტები მორიგებით.

Съ разрѣшенія главнаго управленія по дѣламъ печати, понижена подписная плата на

„Новое Обозрѣніе“.

Какъ для городскихъ, такъ и для иногородныхъ подписчиковъ подписная плата: за годъ—7 р., за полгода—4 р., 3 мѣс.—2 р. 50 к., 2 мѣс.—2 р., 1 мѣс.—1 р.; отдѣльный № въ Тифлисѣ —3 к., внѣ Тифлиса—5 коп.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библиотекъ и благотворительныхъ учреждений сдѣлана скидка: год. плата для иногородныхъ—6 р., для городскихъ—5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся прежнія.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинска ул., д. № 8.

Редакт. Г. М. Тумановъ, издат. К. М. Тумановъ

3 - 3

РУССКОЕ БОГАТСТВО.

Продолжается приемъ подписки на 1902 года.

На годъ съ доставкой и пересылкой 9 р., безъ доставки въ Петербургѣ и москвѣ 8 р., за границу 12 р. Адресъ: Петербургъ, Баскѣва ул., 9; Москва, Никиткія ворота д. Гагарина.—При непосредственномъ обращеніи по этимъ адресамъ допускается разсрочка: приходискъ 5 р. и къ 1-му іюля 4 р.—Книжные магазины, библиотeki, земскіе склады и потребительныя общества могутъ удерживать за комиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра. Подписка въ разсрочку отъ нихъ не принимается.

Новыя изданія редакціи журнала „Русское Богатство“.

Н. Кудринъ. „ОЧЕРКИ СОВРЕМЕННОЙ ФРАНЦІИ“. Ц. 2 р.

П. Булыгинъ. РАЗСКАЗЫ. Ц. 1 р. 50 к.